საქ. სსრ. ... ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 207 (20248) — ოთხშაბათი, 7 სექტემბერი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

რთველი — 88

ყურძენს კრეფენ გურჯაანელები

ჩუმლაყელი, კარდანახელი და ჭანდრელი მევენახეები სახელმწიფო დავალებას დიდი რაოდენობით გადააჭარბებენ

რესპუბლიკის მევენახეთა შორის ტრადიციულად ყველაზე მეტ ყურძენს გურჯაანელები კრეფენ. ალბათ, ასე იქნება წელსაც. აქ გეგმით 82 ათასი ტონა ყურძენი უნდა მოკრიფონ. აქედან 67 ათას ტონას საზოგადოებრივი მეურნეობები დაამზადებენ. ბარაქიანი შემოდგომა დაუდგათ ჩუმლაყელ, კარდანახელ და ჭანდრელ მევენახეებს.

— მართალია, ჩვენი ვენახები სეტყვას ვერც წელს გადაურჩა, — ამბობს ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ვალერიან უტიაშვილი, მაგრამ მონდომებამ, შრომის ორგანიზაციის პროგრესულმა მეთოდმა სასურველი ნაყოფი გამოიღო. სამაგალითოდ დავამუშავეთ ვენახები და რთველიც ბარაქიანი გვექნება. 7300 ტონის ნაცვლად 8000 ტონაზე მეტი ყურძნის მოკრეფას ვვარაუდობთ.

ჩუმლაყელები არც წინა წლებში ამუშავებდნენ ზვარს ურიგოდ, მაგრამ ოჯახურმა იჯარამ მაინც ძირეულად უცვალა სახე მევენახეთა საქმიანობას. გაიზარდა მშრომელთა დაინტერესება, რამაც თავის მხრივ აამაღლა სამუშაოთა ხარისხი, ჰექტარზე საშუალოდ 100 ცენტნერზე მეტ ყურძენს კრეფენ თინა და გოგი ბერულაშვილები, რომლებმაც წელს 6 ჰექტარი ვენახი გაიპიროვნეს. უხვი რთველი აქვთ იჯარით მომუშავე სხვა მშრომელებსაც. ახლა ჩუმლაყელთა მთავარი ამოცანაა შემჭიდროებულ ვადებში დაასრულონ რთველი, არ დაუშვან დანაკარგები კრეფისა და ტრანსპორტირების დროს. უკვე მოსავალს ელიან კარდანახელებიც, მათი საგეგმო მაჩვენებელი 2500 ტონას ითვალისწინებს, მაგრამ აქაური მეზვრეები მნიშვნელოვნად გადააჭარბებენ ამ მიჯნას. 6000 ტონა ყურძენს მიუწონიან ღვინის ქარხნებს ჭანდრელი მევენახეები.

რაიონის გზებზე თანდათან მრავლდება ქარვისფერი მტევნებით დატვირთული ავტომანქანების ნაკადი. გურჯაანში რთველი ჩაღდება. (საქ. კორ.).

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული რეალიზაციის საქმეში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმზე 1988 წლის 3 სექტემბერს

ამხანაგებო!

პარტიული კომიტეტის პლენუმი ყოველთვის მოვლენაა თითოეული პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი პლენუმი ჩვენთვის განსაკუთრებული მოვლენაა, ვინაიდან იგი გარდაქმნის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მიჯნაზე შეიკრიბა.

დრო სულ უფრო მეტად გვაშორებს იმ ხამახსოვრო დღეებს, როდესაც მოსკოვში სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია მიმდინარეობდა. მაგრამ მისდამი ინტერესი არ ცხრება, ჩვენ კვლავ და კვლავ ვუბრუნდებით კომუნისტთა ამ ფორუმს, და კონფერენციის მნიშვნელობა დღითი დღე სულ უფრო ცხადად იკვეთება.

ბევრი რამ ითქვა კონფერენციის უჩვეულო ატმოსფეროზე, დარბაზში მიმდინარე გულახდილ, მწვავე დისკუსიაზე, ყურადღებით რომ ადევნებდა თვალს მთელი მსოფლიო, მიღებულ გადაწყვეტილებათა ნოვატორულ სულისკვეთებაზე. კონფერენციამ ნათლად წარმოაჩინა ქვეყნის ახალი მორალურ-პოლიტიკური ვითარება, აგრეთვე რთული პრობლემები, რომლებიც გარდაქმნის პროცესში წარმოიშობა ხოლმე და, რაც მთავარია, კონფერენციამ გაამართლა იმედები საბჭოთა ადამიანებს, შთაბერა მათ საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის სტრატეგიის წარმატების რწმენა.

კონფერენციის დელეგატებს, რომელთაგან ბევრნი ამ დარბაზში სხედან, მშრომელებთან შეხვედრისას შეეძლოთ ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყვნენ, რომ მან აამოძრავა ჩვენი ქვეყანა, მთელი ხალხი, ჩაუსახა ადამიანებს მიმდინარე ცვლილებათა შეუქცევადობის რწმენა.

კონფერენცია მოასწავებდა მკვეთრი შემობრუნების დაწყებას გარდაქმნის პოლიტიკურ ფრონტზე. ამ შემობრუნების არსია მასების ფართო, რეალური ჩაბმა სახელმწიფოს საქმეებში, ამ საქმეების მართვაში. კონფერენციამ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა გავაღრმაოთ ეკონომიკური რეფორმა, ვინაიდან სწორედ მას უკავშირდება კარდინალური სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განხორციელება და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება. პოლიტიკური სისტემის რეფორმა აღმოფხვრის უმაქნის პარალელიზმს, დუბლირებას პარტიისა და საბჭოების საქმიანობაში. შესაძლებლობას მოგვცემს დავაჩქაროთ და გავაღრმავოთ საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესი. ბუნებრივია, რომ ასეთი შემობრუნების მომზადება და განხორციელება იოლი საქმე არ არის.

მაგრამ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე აღინიშნა, დრო გვაჩქარებს, იგი მოითხოვს ენერგიულ მოქმედებას, პარტიული ორგანიზაციების, ჩვენი კადრების, ყველა კოლექტივის, თითოეული მშრომელის სულ უფრო მზარდ პასუხისმგებლობას.

საგულისხმოა, რომ პარტია, იწყებს რა თავისი განვითარების ახალ ეტაპს, როგორც ახალი გადამწყვეტი შეტევის წინ სჩვევია, აწყობს თავისი ძალების საყოველთაო საბრძოლო, რევოლუციურ დათვალიერებას.

ასეთი საბრძოლო დათვალიერება გახდა პარტიაში დაწყებული ანგარიშგება-არჩევნების კამპანია: ყოველი მისი ქვეგანაყოფი, თითოეული რგოლი აბარებს პასუხს გავლილ გამოცდას — აჯამებს გავლილი გზის შედეგებს, პირუთვნელად აანალიზებს მიღწეულს, სათუთად, მისხალ-მისხალ აგროვებს დადებითს გამოცდილებას, მტკიცედ უკუაგდებს ყოველივე დრომოჭმულსა და ყალბს, რაც კი აბრკოლებს გარდაქმნას და მის ანტიპოდად იქცა. ამავე დროს ვამუშავებთ მომავლის გეგმებს, ვსახავთ პრაქტიკულ და სტრატეგიულ ამოცანებს, ვადგენთ კონკრეტულ ღონისძიებებს, ვაახლებთ კადრებს, ვაწინაურებთ ხალას ახალგაზრდულ ძალებს.

მიმდინარეობს კომუნისტის ცხოვრებისეული პოზიციის გააქტიურების, მისი ავანგარდული როლის გაძლიერების შესამჩნევი პროცესი.

I.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა გამოთქვა იმედი, რომ ახლანდელი ანგარიშგება-არჩევნები ყველა წინანდელი კამპანიისაგან განსხვავებული იქნება. ასეთი ამოცანა დაისახა რესპუბლიკის პარტორგანიზაციამაც. ამ მიზანს ემსახურება მთელი მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც შეიცავს საინსტრუქტაჟო თათბირებს, რეკომენდაციების შემუშავებას, პარტიული კომიტეტების ანგარიშგებასა და სხვა ღონისძიებებს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და ადგილებში შემუშავებული სპეციალური პროგრამებით რომ არის გათვალისწინებული.

დღეს, როდესაც მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული, შედეგების შეჯამება ჯერ ნაადრევია. მაგრამ ეს ნაბიჯებიც დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ანგარიშგება-არჩევნების ახლანდელი კამპანია, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა განსაზღვრა, ხდება იმ დებულებათა პრაქტიკული რეალიზაციის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი, რომლებიც კონფერენციამ შეიმუშავა გარდაქმნის გაღრმავების, პოლიტიკური სისტემის რეფორმის განხორციელების, საზოგადოებისა და პარტიის ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციისათვის.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, როგორც წესი, მიმდინარეობს გულახდილი და დაუფარავი პარტიული სჯა-ბაასი იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს თითოეული კომუნისტი პარტიულ დავალებას, განამტკიცებს თუ არა საჭირო მოქმედებით სიტყვებს გარდაქმნისა და ჩვენი საზოგადოების განახლების მხარდაჭერის შესახებ.

ორმხრივი მომთხოვნელობის, დიდი დაინტერესებისა და საქმისათვის პასუხისმგებლობის ვითარებაში, დემოკრატიისა და საჯაროობის ატმოსფეროში მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები თბილისის, რუსთავის, გორის, წყალტუბოს საქალაქო, ხაშურის, კასპის, ონის, სხვა რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში.

კომუნისტები ღრმად სწვდებიან იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს პრაქტიკულად სამეურნეო მშენებლობის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების საარსებო საკითხების გადასაწყვეტად, ადამიანთა მატერიალური მოთხოვნილებებისა და სულიერი მოთხოვნების უფრო სრული დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

ამავე დროს თითოეულ პარტიულ ჯგუფში, კონკრეტული პირობებისა და ამოცანების შესაბამისად წინა პლანზე დგება მოცემული შრომითი კოლექტივის ცხოვრების ესა თუ ის საკითხები. მაგალითად, თუ თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის" გამომჭრელი საამქროს № 5 ბრიგადის პარტჯგუფის კრებაზე სხვა საკითხებთან ერთად ძირითადი ყურადღება დაეთმო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში კომუნისტთა როლის გაძლიერებას, ფოთის გემთსაშენებელ-შემკეთებელი ქარხნის სახარატო უბნის პარტჯგუფის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა სოციალური ხასიათის გადასაწყვეტი პრობლემები.

დუშეთის რაიონის არაგვისპირის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის უბნის პარტჯგუფში მწვავე დისკუსიის ძირითადი თემა გახდა საარენდო იჯარის დანერგვის გზაზე შექმნილი ბიუროკრატიული დაბრკოლებანი. ქალაქ წყალტუბოს ზონის გუმათის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადის პარტჯგუფის კრებამ საგანგებოდ მოჰკითხა თითოეულ კომუნისტს სასურსათო პროგრამის შესრულებაში შეტანილი პირადი წვლილი, ხოლო მარნეულის საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულის" ენერგომექანიკური საამქროს კრების მონაწილეებმა განსაკუთრებით საფუძვლიანად, საქმიანად იმსჯელეს ადამიანთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, საიმედო ინტერნაციონალისტური ტრადიციების განმტკიცების საჭირბოროტო ამოცანებზე.

ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ პარტიული ჯგუფების კრებები გახდა ფართო სპექტრის უმნიშვნელოვანესი, უმწვავესი, გადაუდებელი პრობლემების განხილვის ტრიბუნა.

კომუნისტებმა კარგად იციან, რომ ყოველ მათგანზე უშუალოდ არის დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება საქმე თითოეულ პარტიულ ორგანიზაციაში, თითოეულ კოლექტივში, რა შედეგებს მოიტანს გარდაქმნა. განსაკუთრებული მომთხოვნელობით უდგებიან კომუნისტები იმათი საქმიანობის შეფასებას, ვინც თავის დროზე პარტიულ ხელმძღვანელებად აირჩიეს.

ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის პირველი შედეგები მოწმობს, რომ არადამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული 44 პარტჯგუფორგისა და 13 საამქრო ორგანიზაციის მდივნის მუშაობა. კომუნისტებს არ სურთ შეურიგდნენ თავიანთი წინამძღოლის პოლიტიკურ პასიურობას, უნდომლობას — იჩენდეს ზრუნვას კოლექტივის საჭიროებებისათვის, ორგანიზატორული მუშაობის ნაკლოვანებებს.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ კომუნისტებს ხელმძღვანელის არჩევნებთან დაკავშირებით. წარსული წლების პრაქტიკისაგან განსხვავებით, როდესაც კანდიდატურებს ზემოდან არჩევინებდნენ, ახლა პარტიელები თავად წყვეტენ, თუ ვის მიანდონ პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობა. საქმისადმი მათს პასუხისმგებლურ და პრინციპულ მიდგომაზეა დამოკიდებული, ეყოლებათ თუ არა ნამდვილი ლიდერები, პოლიტიკური მებრძოლნი, რომლებსაც ძალუძთ დააწინაურონ რევოლუციური განახლების საქმე, უზრუნველყონ პარტიული მუშაობის თვისებრივი გარდაქმნა.

კომუნისტები პრაქტიკულად ასხამენ ხორცს XIX პარტკონფერენციის დებულებებს პარტიაში საარჩევნო პროცესის დემოკრატიზაციის შესახებ. მაგალითად, მთლიანად რესპუბლიკის პარტორგანიზაციებში მეტწილად მიმდინარეობდა წინასწარი განხილვა და პარტჯგუფორგების რამდენიმე კანდიდატურის დასახელება, ყოველმა მესამე კრებამ აჯობინა ფარული კენჭისყრა, ხოლო ყოველ მეორეზე დაასახელეს კანდიდატურები ზემდგომი ორგანოების შემადგენლობაში.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ კონფერენციის რევოლუციურ-გარდამქმნელი იმპულსი სულ უფრო მეტად გადაეცემა პარტიის სტრუქტურის ყველა დონეზე, ხელს უწყობს გარდაქმნის პროცესების გაღრმავება-გამდიდრებასა და შემდგომ განვითარებას.

მაგრამ ცენტრალურ კომიტეტს აფიქრებს ის გარემოება, რომ XIX პარტკონფერენციის პოლიტიკური დებულებები ჯერ კიდევ ყველგან როდი ამეტყველეს პრაქტიკული ამოცანების ენაზე. ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ვერ შელევია ნაჩვევ მიდგომებსა და სტერეოტიპებს, მისწრაფებას მეტისმეტი ორგანიზებულობისადმი, რომელიც ლამის ფორმალიზმად გადაიქცეს. ბევრგან დიდი გაჭირვებით იკვლევენ გზას კრებების მოწყობის ახალი ფორმები, ვინაიდან უწინდებურად ამჯობინებენ საკითხთა განხილვის დეკლარაციულ, ზერელე ხასიათს.

ახლანდელი ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის განსაკუთრებული, პრინციპული მნიშვნელობის ანგარიშგაუწევლად ჩაიარა კრებებმა ზუგდიდის, ცხინვალის საქალაქო, გულრიფშის, ბორჯომის, მაიაკოვსკის, მარნეულის, ორჯონიკიძის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში. შესაბამის პარტიულ კომიტეტებს არ შეუქმნიათ პირობები ნამდვილი გერგილიანობისა და პრინციპულობისა, დემოკრატიისა და საჯაროობისათვის; ისინი ყავლგასული რეგლამენტაციის გზას დაადგნენ და კომუნისტთა გაზრდილი აქტიურობის იმედით მთელი ეს უმნიშვნელოვანესი კამპანია თვითდინებაზე მიუშვეს.

ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის ორგანიზაციის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა კრებებზე უზრუნველვყოთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის მაღალი დონე, გაწეული მუშაობის პრინციპული შეფასება.

ეს რეკომენდაციები, სხვა პარტიულ კომიტეტებთან ერთად, მიიღო პარტიის წითელწყაროს რაიკომმაც. მაგრამ რაიონში ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ რაიკომმა დიდად არ გაუწია ანგარიში ამ რჩევას. ავიღოთ, მაგალითად, მეფრინველეობის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია. მთელი რიგი წლების მანძილზე მისი კოლექტივი ყველაზე ჩამორჩენილია რაიონში; აქ სისტემატურად ვერ სრულდება დავალებები, არ არის შექმნილი სათანადო სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, პარტიული ორგანიზაცია კი, თავის მხრივ, სრულ უმწეობას იჩენს მწვავე პრობლემების გადაჭრაში.

მოსალოდნელი იყო, რომ ამჯერად კომუნისტები, რომლებსაც პარტიის რაიკომიც ამოუდგებოდა მხარში, დაუფარავად იტყოდნენ, თუ რა უშლის მათ ხელს მუშაობაში, რის ბრალია ფაბრიკის ჩავარდნები, რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ თავი დააღწიონ შექმნილ მდგომარეობას. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. მეფრინველეობის ფაბრიკის სამივე პარტჯგუფში გამართული საანგარიშო-საარჩევნო კრებები არაფრით არ განსხვავდებოდა უძრაობის პერიოდის კრებებისაგან, იგივე ზოგადი ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები, გამოსვლა — თვითანგარიშები, არაფრისმქნისი დადგენილებანი, რომლებიც, ისევე როგორც წინათ, ერთხმად მიიღეს. როგორ ახსნის ამას პარტიის რაიკომი, რომელსაც არც კი გაუგზავნია თავისი წარმომადგენელი ამ ორგანიზაციაში; აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სწორედ აქ მართებდათ უაღრესად საგულდაგულოდ ღრმად მოფიქრებული მუშაობა კომუნისტებთან, პარტიულ ჯგუფებთან.

ანალოგიურად ჩაიარა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფის კოლმეურნეობის №3 ბრიგადის პარტჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ. პარტორგანიზაციის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს არ მიეცა საქმიანი, პრინციპული შეფასება. კომუნისტებმა დუმილით აუარეს გვერდი რაიონისათვის ისეთ მწვავე საკითხებს, როგორიც არის დატაცება, წამატებები და სხვა დარღვევები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სისტემაში, მომსახურების სფეროში, სხვა დარგებში რომ გამოვლინდა. ასეთი „მდუმარე" კრებები, ეტყობა, ხელს აძლევს პარტიის რაიკომს, და სწორედ ამიტომ არ იღებს იგი არავითარ ზომებს იმისათვის, რომ კომუნისტებმა დაუფარავად ილაპარაკონ ეკონომიკის, სოციალური სფეროს გარდაქმნის ნელ ტემპზე, საკადრო პოლიტიკის ხარვეზებსა თუ სხვადასხვაგვარი ნეგატიური მოვლენების რეციდივებზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელიც ანგარიშგება-არჩევნების მომავალ კამპანიას მიეძღვნა, პარტიულ კომიტეტებს რეკომენდაცია მიეცათ წინასწარ გაეცნოთ კოლექტივის წევრებისათვის წინა კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის მიმდინარეობა. ამ მოთხოვნას პრინციპული მნიშვნელობა აქვს კომუნისტთა აქტიურობის ამაღლებისათვის. მაგრამ როგორ სრულდება იგი სინამდვილეში?

ავიღოთ, მაგალითად, საჩხერის რაიონის სხვიტორის კოლმეურნეობის №3 ბრიგადის პარტჯგუფის კრება. პარტჯგუფორგის ნაუცბადევად შედგენილ მოხსენებას არ გამოუწვევია ცოცხალი, დაინტერესებული დისკუსია, კომუნისტები ძირითადად დუმილს ამჯობინებდნენ. მაგრამ კრების შემდეგ გამოირკვა, რომ ადამიანებს უბრალოდ აღარც კი სჯეროდათ, რომ მათს წინადადებებსა და შენიშვნებს ვინმე ყურად იღებდა და ცნობად მიიღებდა. ძალდაუტანებელ, ლაღ ვითარებაში ისინი გულწრფელად ლაპარაკობდნენ მტკივნეულ საკითხებზე, რომლებიც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დადგა — თქვეს, რომ მდარე ხარისხისაა პური, არა აქვთ გზები და განათება, ხშირია შეფერხებები უპირველესი საჭიროების საქონლის ვაჭრობაში და სხვ.

ამ შენიშვნებმა პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ე. ბერიძის გულისწყრომა გამოიწვია და მან ხმა ჩააკმენდინა ზოგიერთ კომუნისტს. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება საერთოდ დამახასიათებელია პარტიის რაიკომის მუშაობის სტილისათვის.

ორი წლის წინ რაიმრეწვკომბინატში დიდი დატაცება მოხდა. პარტიული ჯგუფის კომუნისტებმა მაშინდელი პარტჯგუფორგის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს. პარტიის რაიკომს მართებდა საგანგებო ყურადღება მიექცია ამ პარტორგანიზაციისათვის, გაეწია პრაქტიკული დახმარება ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მკაცრი კონტროლი დაეწესებინა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, მაგრამ ეს არ მომხდარა. ამის შედეგად წელს კომბინატში ჩადენილია კიდევ უფრო დიდი დატაცება, და პარტჯგუფის მუშაობა კვლავ არადამაკმაყოფილებლად შეფასდა.

უკონტროლობას, ზერელობას პარტიის რაიკომის მუშაობის სტილში შედეგად მოსდევს ის, რომ აქ ხშირად ხეირიანად არც კი იციან საქმის რეალური მდგომარეობა, აუბრალოებენ მოვლენებს, რის შედეგადაც შეცდომას შეცდომა მოსდევს.

რაიონის ბამბის სართავ ფაბრიკაში გოგირდმჟავას გაჟონვა, რამაც მდინარე ყვირილაში თევზის მასობრივი მოწამვლა გამოიწვია, რაიკომმა არ მიიჩნია რამდენადმე საყურადღებო ფაქტად. აქ დღესაც ჰგონიათ, თითქოს ამ ავარიის საფრთხე მეტისმეტად გაზვიადებულიყოს. ასეთ გულარხეინობას სულ მალე შედეგად მოჰყვა ხანძარი, რომელმაც რესპუბლიკური ორგანოებისა და მთელი რიგი სხვა რაიონების ჩარევა მოითხოვა.

პარტიის საჩხერის რაიკომის მიმართ კრიტიკა პირველად როდი გაისმის. ორი წლის წინათ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ რაიკომის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ რაიონში ნელა მიმდინარეობს გარდაქმნა, არ იგრძნობა თვითკრიტიკული მიდგომა ნაკლოვანებებისადმი, არის კრიტიკის ჩახშობის ფაქტები. ამ სერიოზული საყვედურიდან რაიკომის პირველ მდივანს არ გამოუტანია ჯეროვანი დასკვნები. დრო გადის, საქმის მდგომარეობა კი არ სწორდება.

ნაკლოვანებანი ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის დაწყებით ეტაპზე გარკვეულწილად იმის შედეგია, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი დავალების შესრულებას ჯერაც არ შესდგომია ყველა სამუშაო ჯგუფი, რომლებშიც შედიან ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელები, რომლებიც მიმაგრებული არიან პარტიულ კომიტეტებზე.

ვისურვებდით, რომ ამხანაგები მეტი პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდნენ ამ საქმეს.

მეტ ინიციატივას, თაოსნობას, შემოქმედებითს მიდგომას მოველით ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის მიმდინარეობის გაშუქებისას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მათ შორის, ჩვენი ტელევიზიისაგან. პარტიული კრებებისადმი მიძღვნილი ზერელე, ტრაფარეტული ინფორმაციები, რომლებიც ბორჯომის, ყაზბეგის, აბაშის, ჩოხატაურისა და მთელი რიგი სხვა რაიონების გაზეთებში დაიბეჭდა, არ ასახავენ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მუშაობის დედაარსს, არ ავლენენ არსებულ ნაკლოვანებებს, ვერ უწყობენ ხელს დადებითი გამოცდილების განზოგადებას.

ახლა უაღრესად საჭიროა გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები ანგარიშგება-არჩევნების პირველი ეტაპიდან, ვინაიდან უკვე დაიწყო მეორე ეტაპი — პირველადს პარტორგანიზაციებში. მათ სათავეში ჩაუდგებიან უმთავრესად ისეთი ამხანაგები, რომლებსაც კონკრეტული, საქმიანი დახმარება, პრაქტიკული რეკომენდაციები და ახლებურად მუშაობის რჩევა-დარიგება ესაჭიროებათ. ამის გამო სასარგებლოდ გვესახება მოწვეულ იქნეს ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის დამთავრების შემდეგ პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც მათი მუშაობის ყველაზე აქტუალურ საკითხებს მიეძღვნება.

ახლა განსაკუთრებით საჭიროა ორგანიზატორული, პოლიტიკური მუშაობის ღრმა ანალიზი, თვითკრიტიკული და პრინციპული მიდგომა პარტორგანიზაციებისა და მათი არჩევითი ორგანოების საქმიანობის სტილისა და მეთოდების შეფასებისადმი.

ახლებურად, ნამდვილად დემოკრატიულად და ჭეშმარიტად საჯაროდ უნდა მოეწყოს ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნებიც. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც „ზემოდან" იღებდნენ მითითებებს, იგზავნებოდა საკონტროლო ციფრები, განწესები, რომლებითაც რეგლამენტირებული იყო ყველაფერი: არჩევითი პარტიული ორგანოების შემადგენლობისა და კონფერენციის დელეგატთა სქესი, ასაკი, საქმიანობის სახეობა, სოციალური მდგომარეობა თუ განათლება. აღარ უნდა განმეორდეს ის პერიოდი, როდესაც განიხილავდნენ, შემდეგ კი კენჭს უყრიდნენ მხოლოდ იმ კანდიდატურებს, რომლებსაც ქვემდგომთ ზემდგომი პარტიული ორგანო სთავაზობდა, ანდა პარტიული ორგანიზაციის მდივანი ასახელებდა.

შინაპარტიული დემოკრატიისა და საჯაროობის გაფართოების გზაზე გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია ის, რომ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ენიჭებათ უფლება, კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატთა არჩევასთან ერთად, რეკომენდაცია მისცენ კანდიდატურებს ზემდგომი პარტიული ორგანიზაციების შემადგენლობაში.

მთელი პარტიული მუშაობის თავიდათავი მუდამ იყო და არის კადრებთან, ადამიანებთან მუშაობა. საკავშირო პარტკონფერენციამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ახლაც მოითხოვეს განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ კადრების შერჩევას, დაწინაურებასა და აღზრდას, ვინაიდან კადრები და მხოლოდ კადრები წყვეტენ საქმის წარმატებას, გარდაქმნის წარმატებას. ასეთ მიდგომას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების, პირველი პირების არჩევისას.

ამ საქმეში ჩვენს პარტორგანიზაციას გარკვეული გამოცდილება აქვს შეძენილი. შეგახსენებთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ ჩვენში ორი და მეტი კანდიდატურის დასახელება-განხილვის პირობებში არჩეულია 29 პარტიული კომიტეტის მდივანი, 46 სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და მოადგილე, 70-მდე დიდი სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ეს კი აღნიშნულ პერიოდში ამ კატეგორიის შეცვლილ ხელმძღვანელთა საერთო რაოდენობის 80 პროცენტზე მეტია.

ხელმძღვანელ თანამდებობაზე სამუდამოდ რომ არავინ ინიშნება, ამის თავისებურ შეხსენებად გვევლინება ანგარიშგება-არჩევნების წლევანდელ კამპანიაში შემოღებული დებულება პარტიულ ორგანოებში ერთსა და იმავე არჩევით თანამდებობაზე ყოფნის ორი ვადით შეზღუდვის შესახებ, რომელიც XIX საკავშირო პარტკონფერენციამ მიიღო.

ამასთანავე განმარტებულია, რომ კომუნისტებს შეუძლიათ განიხილონ და გადაწყვიტონ ყოველი ხელმძღვანელის საკითხი პერსონალურად, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენ ხანს იმუშავა მან დაკავებულ პოსტზე. აქ მთავარი კრიტერიუმი ის არის, თუ როგორ ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობებს და შეუძლია თუ არა მიაღწიოს საქმის თვისებრივ გაუმჯობესებას. სწორედ ამ კრიტერიუმით უნდა ვიხელმძღვანელოთ არჩევითი ორგანოების ფორმირების დროს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შესაბამის პარტიულ აპარატებთან პარტიული კომიტეტების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. აქ განუხრელად უნდა სრულდებოდეს პარტიის არჩევითი ორგანოებისადმი აპარატის მკაცრი დაქვემდებარებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპი. გარდა ამისა, პოლიტიკური სისტემის რეფორმის ფარგლებში უნდა განხორციელდეს პრაქტიკული ღონისძიებანი პარტიული აპარატის სტრუქტურისა და საქმიანობის სრულყოფისათვის. იგი, უწინარეს ყოვლისა, აქტიურად უნდა ეხმარებოდეს არჩევითს ორგანოებს მთლიანად შეასრულონ პოლიტიკური ავანგარდის ფუნქციები, მაშასადამე, უნდა გავათავისუფლოთ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებისაგან, გადავიტანოთ სიმძიმის ცენტრი ხელმძღვანელობის პოლიტიკურ მეთოდებზე.

დღეს პარტიული კომიტეტების აპარატებს მართებთ თანამედროვე... რულად გაატარონ საზოგადოების რევოლუციური განახლების პარტიისეული გეზი, იმოქმედონ შემოქმედებითად, იდეურ-აღმზრდელობითი, ორგანიზატორული მუშაობის მეთოდებით, არ შებოჭონ ძირეული პარტიული რგოლები წვრილმანი მეურვეობით. პარტიული აპარატის მუშაობას სულ უფრო მეტად უნდა ახასიათებდეს საქმიანი მიდგომა, საჯაროობა, კრიტიკული განწყობა, ყოველდღიური კავშირი მასებთან.

ყოველივე ეს მოითხოვს მნიშვნელოვნად შემცირდეს მუშაკთა რაოდენობა და ამავე დროს გაიზარდოს კადრების შემადგენლობის კომპეტენტურობა. ასეთი მუშაობა უნდა გავსწიოთ ცენტრალური კომიტეტის აპარატშიც და ადგილობრივ პარტიულ ორგანოებშიც.

დიდი და რთული მუშაობა მოგვიწევს საბჭოების საქმიანობის გარდაქმნასთან დაკავშირებით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, უმაღლესი საბჭოს კომისიები, დეპუტატთა მთელი კორპუსი, საკავშირო ორგანოების მითითებების შესაბამისად, განსაკუთრებით, საბჭოების 1989 წლის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, აქტიურად უნდა ჩაებან ამ უმნიშვნელოვანესი კამპანიის მომზადებასა და მოწყობაში, განამტკიცონ საბჭოები კომპეტენტური და ნაცადი კადრებით. და მთელი ეს მუშაობა საკავშირო კონფერენციის სულისკვეთებით უნდა იყოს გამსჭვალული.

II.

ახლა მთავარია ფრთა შევასხათ ყველა პარტორგანიზაციას, ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს გარდაქმნის, რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ამოცანების გადასაწყვეტად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

პარტიული კომიტეტებისა და სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოების ფუნქციების გამიჯვნა არათუ არ აკნინებს, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო მეტად აძლიერებს პარტიის, როგორც ხალხის პოლიტიკური ავანგარდის, როლს. ეს კი ნიშნავს, რომ კიდევ უფრო აქტიური უნდა იყოს თითოეული კომუნისტის ცხოვრებისეული პოზიცია, კიდევ უფრო მაღალი — მისი ავანგარდული როლი.

აი რატომ არის ესოდენ აუცილებელი, რომ ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის ყურადღების ცენტრში იდგეს სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები — სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების დამკვიდრება, სოციალისტური თვითმმართველობის განვითარება, ეკონომიკური რეფორმის განხორციელება, ახალი სამეურნეო მექანიზმის დანერგვა.

როგორც ცნობილია, იმისათვის, რომ ამ ამოცანების მთელი ჯაჭვი ამოვწიოთ, საჭიროა ხელი ჩავჭიდოთ ძირითად რგოლს. ასეთ ძირითად რგოლად გვევლინება დღეს შინასაწარმოო სამეურნეო ანგარიში, ბრიგადული და სამეურნეო იჯარა, არენდა.

ამის ხაზგასმით აღნიშვნა ახლა განსაკუთრებით საჭიროა, ვინაიდან ამ საქმეს ყველგან როდი ეკიდებიან ჯეროვანი სიმტკიცით. ისეთ მოწინავე გაერთიანებებშიც კი, როგორიც არის თბილისის ავიაქარხანა და „მიონი", ჭიანურდება საამქროებისა და ბრიგადების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე. არადა, მომავალი წლის იანვრიდან ამ კოლექტივებმა ახალ პირობებში უნდა იმუშაონ.

თუ ანგარიშებს დავუჯერებთ, რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმით არის მოცული მუშათა 72 პროცენტი, ხოლო საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა აქ ფაქტობრივად არ იცვლება, უკეთეს შემთხვევაში ეს ცვლილებები უმნიშვნელოა. მთელი რიგი საწარმოები, ასე ვთქვათ, გაკოტრდნენ.

რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა 13 წელიწადს ნორმალურად მუშაობდა, სტაბილური საფინანსო მდგომარეობა ჰქონდა, 1984 წლიდან კი რღვევა დაეწყო. მისმა დავალიანებამ 8 მილიონ მანეთს გადააჭარბა. საწარმომ მთლიანად ამოჭამა საბრუნავი საშუალებები, აქვს ეგრეთ წოდებული ულიკვიდო ბალანსი, სისტემატურად შლის მიწოდების გეგმებს. შექმნილი სიტუაციის ერთადერთი ახსნა ის არის, რომ უხეიროდ ხელმძღვანელობენ, დაბალია შრომისა და წარმოების ორგანიზაციის დონე, არ არსებობს არავითარი კომერციული მუშაობა. ქარხანაში იცვლებოდა ყველა — დირექტორი, სპეციალისტები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საქმის მდგომარეობა კი სულ უფრო უარესდებოდა. აი, ასე მივიდნენ გაკოტრებამდე. ეს, რა თქმა უნდა, ჩრდილს აყენებს თვით ქალაქ რუსთავის პარტიულ ორგანიზაციასაც.

ასეთივე მდგომარეობაა ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებელთა ქარხანაში. იქაც იცვლებოდა ხელმძღვანელობა, იქაც ცდილობდნენ ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებას, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. ქარხანა გაკოტრდა. ახლა ამ საწარმოებს გასაყიდად დაუდგათ საქმე, მოიძებნა მუშტარიც.

რეალურად დგას თბილისის საქალაქო აღმასკომის, ვაჭრობის სამინისტროსა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მთელ რიგ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა ფაქტობრივი გაკოტრების საკითხი. ბანკმა ისინი გადახდისუუნაროდ გამოაცხადა. ასეთივე ხვედრი მოელის მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოთა ჯგუფს.

ამრიგად, დადგა მთელი კოლექტივების ყოფნა-არყოფნის საკითხი. სამწუხაროდ, რესპუბლიკის არც პარტიულ, არც საბჭოთა და არც სამეურნეო ორგანოებს არსებითად არ გააჩნიათ მოქმედების ზუსტი პროგრამა.

მინისტრთა საბჭომ მტკიცედ უნდა მოჰკიდოს ხელი საქმეს და შეიმუშაოს კონკრეტული პროგრამა. თუკი სამინისტროები, საწარმოთა ხელმძღვანელები ვერ შეძლებენ საფინანსო და სამეურნეო საკითხების გადაწყვეტას, მაშინ ჩვენ უნდა გვქონდეს ამ საწარმოთა რეორგანიზაციის გეგმა, მათი პროფილის შეცვლის, შრომითი კოლექტივებისა და კოოპერატივებისათვის იჯარით გადაცემის გეგმა.

საწარმოები, სადაც 100-ზე ნაკლები კაცი მუშაობს, — ასეთები კი ჩვენში მრავლად არიან, ისინი ყველა სამრეწველო საწარმოს თითქმის 36 პროცენტს შეადგენენ, — უფრო გაბედულად უნდა გადავცეთ იჯარით თვით კოლექტივებს ანდა კოოპერატივებს. ისინი მხოლოდ აბრკოლებენ ჩვენი მრეწველობის მუშაობას, ვერ აუწყვიათ ფეხი თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის, ვერ დაუნერგავთ ახალი ტექნიკა და უახლესი ტექნოლოგია.

და ეს მაშინ, როდესაც რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ყველა პროცესს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უნდა ამოძრავებდეს. მაგრამ ჩვენში ეს ჯერჯერობით არ არის უზრუნველყოფილი. ასე მხოლოდ წვრილ საწარმოებს როდი აქვთ საქმე. ბევრი დიდი გაერთიანება და მეურნეობა ასევე სისტემატურად შლის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გეგმებს. კერძოდ, სისტემატურად ვერ ასრულებენ საგეგმო დავალებებს „საქქვანახშირი", „ელექტროაპარატი", „ელმავალმშენებელი", მშენებლობის სამინისტროს საწარმოო-ორგანიზაციები, ზოგიერთი სხვა ორგანიზაცია.

ცუდად სრულდება ცენტრალური კომიტეტის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე განხილული და დამტკიცებული კომპლექსური პროგრამები. შეიძლებოდა მოგვეყვანა იმის მრავალი მაგალითი, რომ სამინისტროები და უწყებები, გაერთიანებები და საწარმოები შლიან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დავალებებს. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენში არ არის ამ პროცესის მართვის ქმედითი სისტემა. გვაქვს მეცნიერებათა აკადემია, გვაქვს სახალხო განათლების სამინისტრო, გვაქვს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და, ბოლოს, გვაქვს დარგობრივი სამინისტროები და უწყებები, რომელთა ხელში თავმოყრილია დიდძალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და საკონსტრუქტორო ბიუროები, მაგრამ არა გვაქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სისტემა.

(გაგრძელება 2-ე გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმი

(გაგრძელება)

ამიტომ, თუ კითხვაზე — რა არ დანერგილა, შეიძლება ვიპოვოთ რაღაც პასუხი, კითხვას — რა გამოიწვია ამან, რა დავკარგეთ ჩვენ ამის შედეგად, ვის მიუძღვის კონკრეტულად ბრალი იმაში, რომ მეცნიერულ-ტექნიკური ნამუშევრები არ დანერგილა, დღეს რესპუბლიკაში ვერავინ ვერ უპასუხებს. განა შეიძლება ასე ვმართავდეთ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს? ამის შედეგად უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერული ნამუშევრების დაახლოებით 70 პროცენტი არ შეესაბამება სამამულო მიღწევებს, რომ არაფერი ვთქვათ საზღვარგარეთულზე. დაახლოებით ასევე შეიძლება შეფასდეს აკადემიურ და დარგობრივ მეცნიერებათა მდგომარეობა.

აბა, როგორ იქნება ეს ნამუშევრები მსოფლიო მიღწევათა დონეზე, თუ, მაგალითად, ჩვენს მეცნიერებათა აკადემიაში საზომ საშუალებათა 44 პროცენტი მორალურად მოძველებულია, აკადემიის 25 სამეცნიერო დაწესებულებას საერთოდ არ გააჩნია ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები, ხოლო მეცნიერ მუშაკთა ფონდშეიარაღება 1,5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიებში. და ასეთ პირობებში ჩვენთან წლითიწლობით აუთვისებელი რჩება გამოყოფილი კაპიტალდაბანდებანი. გაუგებარი პოზიციაა!

აქ შეიძლება გამოვიტანოთ მხოლოდ ერთი დასკვნა: საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი მეცნიერებისა და მეცნიერ-ტექნიკური პროგრესის მართვის სისტემის შემუშავებას. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ამხ. ა. თავხელიძემ, სახალხო განათლების მინისტრმა ამხ. გ. ენუქიძემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ო. ვარძელაშვილმა სამეცნიერო დაწესებულებათა მქონე უწყება-სამინისტროების ხელმძღვანელთა მონაწილეობით უნდა შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებანი და შეიტანონ ისინი განსახილველად რესპუბლიკის დირექტიულ ორგანოებში.

ამ სისტემაში თავიანთი ადგილი უნდა დაიკავოს საკავშირო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების სხვადასხვა ფილიალებმა, საწარმო-გაერთიანებათა საკონსტრუქტორო ბიუროებმა, რესპუბლიკაში შექმნილმა საინჟინრო ცენტრებმა. მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენცია აქვთ ისინი თითქმის არ მუშაობენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საჭიროებებისათვის, კერძოდ, სახალხო მოხმარების საქონლის ახალი ნიმუშების შექმნისათვის. აქ უდიდესი სამუშაო გვაქვს გასაწევი.

ისევ და ისევ, თუ ანგარიშების მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩვენში ბოლო დროს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმები გადაჭარბებით სრულდება, შვიდი თვის მანძილზე წარმოებულია დაგეგმილზე თითქმის 30 მილიონი მანეთით მეტი „სიახლის" ინდექსიანი ხარისხგაუმჯობესებული მსუბუქი მრეწველობის საქონელი. მაგრამ შინარესპუბლიკურ ბაზარს ეს არსებითად არ უგრძვნია. რატომ?

ერთ-ერთი მთავარი მიზეზია არასაკმარისი კოორდინაცია რესპუბლიკურ დონეზე და ადგილებზე. რაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ვერც მინისტრთა საბჭოში, ვერც სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და ვერც ვაჭრობის სამინისტროში ვერ მოუციათ რამდენადმე ზუსტი ინფორმაცია — საკავშირო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის რა ნაწილია განკუთვნილი ადგილობრივი ბაზრისათვის. ჩვენ გვიხდება რესპუბლიკაში შემოვიტანოთ 400-მდე დასახელების უმარტივეს სახეობათა ნაწარმი, რომელთა გამოშვების ათვისებაც თავისუფლად შეიძლება ჩვენში, ადგილზე, რთულ და პრესტიჟულ ნაკეთობებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

საკმარისია ითქვას, რომ მანქანათმშენებლობაში სახალხო მოხმარების 304 ძირითადი დასახელების საქონლიდან, რომელთა გამოშვებაც მიმდინარე წელს არის გათვალისწინებული, პრესტიჟულებს პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ 20 სახეობა. ამავე მიზეზით ჯერ კიდევ არასაკმარისად არის ორიენტირებული რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნაზე მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია. ყოვლად აუხსნელია, თუ რატომ არის, რომ ადგილობრივი მრეწველობის მიერ გამოშვებული ნაწარმის თითქმის ნახევარი და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს პროდუქციის 70 პროცენტი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაგვაქვს.

სად არის დაპირებული ახალი საქონელი? იგი ძალზე ცოტაა ან საერთოდ არ არის. რესპუბლიკაში ხომ იქმნებოდა საინჟინრო ცენტრები, ეწყობოდა სხვადასხვა გამოფენები, სამინისტროებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელები ეცნობოდნენ ბევრი ქალაქისა და რესპუბლიკის, თვით საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას. მოკლედ რომ ვთქვათ, აურზაური დიდი იყო, შედეგები კი არაფერი.

ამხანაგებს ო. მელქაძეს, ვ. ალავიძეს, ა. მოვსესიანს, ქ. შავიშვილს, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს უნდა მოვთხოვოთ, რომ უახლოეს ხანს მიაღწიონ ზუსტ კოორდინაციას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში. ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი საქონლის ხარისხის გაუმჯობესების მხრივაც.

საქონლითა და მომსახურებით ბაზრის შევსებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს კოოპერაციულმა და ინდივიდუალურმა შრომითმა საქმიანობამ. რესპუბლიკაში ირიცხება თითქმის 1200 კოოპერატივი, სადაც 17 ათასამდე კაცია დასაქმებული. გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას მისდევენ. მთლიანად თითქოს არცთუ ურიგოდ გვქონია საქმე.

მაგრამ ყაზბეგის, ლენტეხის, ამბროლაურის, მესტიის, ბოლნისის, ორჯონიკიძის, ცაგერის, ასპინძის, ბორჯომის, კასპის, თეთრი წყაროს, თიანეთისა და ზოგიერთ სხვა რაიონში კოოპერაციული მოძრაობის განვითარებაში რაღაც პასიურობა შეიმჩნევა.

აქ სერიოზული ხარვეზია ორიენტაცია რესპუბლიკისგარე ბაზარზე, უნაღდო ანგარიშსწორების დიდი ხვედრითი წილი ბრუნვაში. ასე რომ, ისინი ბევრს არაფერს აკეთებენ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ კოოპერატივები ჩვენ იმისთვის ხომ არ გვინდა, რომ გამდიდრების ასპარეზი გავუხსნათ ცალკეულ, ზოგჯერ არცთუ მთლად კეთილსინდისიერ პირებს. აქ მთავარი მიზანია მივცეთ მეტი საქონელი მოსახლეობას, გავუწიოთ მას უფრო მეტი და მრავალფეროვანი მომსახურება.

არადა, ხშირად პირიქით ხდება. მაგალითად, გარდაბნის რაიონში სახალხო მოხმარების საქონლის გამომშვებმა კოოპერატივებმა ნახევარი წლის მანძილზე 1,3 მილიონი მანეთის პროდუქცია გაასაღეს. საკითხავია, რა მისცეს მათ რაიონს? ბანკის სალაროში შემოვიდა სულ 100 ათასი მანეთი, ხოლო ბანკიდან მარტო კრედიტისა და ხელფასის სახით გაიტანეს 457 ათასი მანეთი ნაღდი ფული. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ რეალიზებულია პროდუქციის დაახლოებით 80 პროცენტი. ამ მხრივ გამოირჩევიან გარდაბნის ყველაზე დიდი კოოპერატივები — „წავკისი", „კრწანისი", „სამგორი" ასეთი მაგალითები მრავლად არის სხვა რეგიონებშიც.

ახლა კოოპერაციულ მოძრაობას ახალი ფაზა ეწყება. ქვეყანაში აქტიურად იქმნება სხვადასხვაგვარი ასოციაციები და კოოპერატორთა კავშირები. ეს ხელს უწყობს კოოპერაციული მოძრაობის ბევრი პრობლემის გადაჭრას. რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა ყოველნაირად უნდა წაახალისონ ასეთი კავშირების შექმნა, ხელი შეუწყონ მას.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობის ზრდა, კოოპერაციული მოძრაობის განვითარება, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესაძლებლობათა მინიჭება — ყოველივე ეს ემსახურება ერთ მიზანს: მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის უპირველესი ამოცანაა სასურსათო პრობლემა.

ცნობილია, რომ ძირითადი სასურსათო პროდუქტების მოხმარების დონის მიხედვით ჩვენში უდიდესი ჩამორჩენაა არა მარტო ფიზიოლოგიურ ნორმებთან, არამედ, აგრეთვე საშუალო საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით. ამასთან უკანასკნელი 7 წლის მანძილზე იზრდება ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით ხორცისა და მისი პროდუქტების, რძისა და მისი პროდუქტების, კვერცხის მიხედვით. ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებანი, მაგრამ მიუხედავად ამისა, თვალსაჩინო ცვლილებები არ მომხდარა.

მოწოდება მეურნეობის ინტენსიურ გაძღოლაზე გადასვლის შესახებ ფუჭ მოწოდებად რჩება: სარწყავ მიწებზე და ინტენსიური ტექნოლოგიით დამუშავებულ ნაკვეთებში მოსავლიანობა ხშირად ისეთივეა, ზოგჯერ კი უფრო ნაკლებიც, ვიდრე ურწყავ მიწებზე და მინდვრებში, სადაც ინტენსიური ტექნოლოგია არ გამოიყენება.

გასულ წელს მარცვლოვანთა ინტენსიურ ნათესში მოსავლის დანაკლისმა 30 ათას ტონას გადააჭარბა. მარნეულის რაიონის მეურნეობებმა ინტენსიური ყანის ჰექტარზე მოიწიეს 26,3 ცენტნერი მარცვლეული, ხოლო სიმინდი კიდევ უფრო ნაკლები — 16,2 ცენტნერი.

რით უნდა ახსნან სიღნაღის რაიონის ხელმძღვანელებმა (რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე დ. ალადაშვილი) ის ფაქტი, რომ სიმინდის ინტენსიური ნათესის ჰექტარზე აქ მხოლოდ 8,8 ცენტნერი მარცვალი მიიღეს? ხომ არ არის ეს უბრალოდ ხელმძღვანელთა წმინდა წყლის აგრონომიული და ტექნოლოგიური უვიცობა? იგივე შეიძლება ითქვას გურჯაანის, ლაგოდეხის, წულუკიძის, თერჯოლისა და სხვა რაიონების სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელებზეც, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს გადასვლა მარცვლოვანთა ინტენსიურ წარმოებაზე.

მიმდინარე წელს, როდესაც რესპუბლიკაში თავთავიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 28,5 ცენტნერს აღემატება, დუშეთის რაიონის მჭადიჯვრის საბჭოთა მეურნეობაში ყოველ ჰექტარზე საშუალოდ გალეწილია მხოლოდ 6,2 ცენტნერი ხორბალი, ანუ დაახლოებით იმდენი, რამდენიც დაითესა.

ასეთი ფაქტები უყურადღებოდ არ უნდა რჩებოდეთ რესპუბლიკის სახაგრომრეწვს, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მეცხოველეობა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საერთო სულადობაში 99,97 პროცენტი ჯიშიანია. მაგრამ რა ფასი აქვს ამას, თუკი ერთი ძროხის საშუალო წველადობა წელიწადში 1900 კილოგრამსაც კი ვერ, აღწევს, ხოლო სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებისაგან შესყიდული პირუტყვის საშუალო ჩასაბარებელი წონა 270 კილოგრამს არ აღემატება. გამოდის, რომ ჯიშიანი პირუტყვი ჩვენ მხოლოდ ქაღალდზე გვყოლია, სინამდვილეში კი მეცხოველეობას ზარალის მეტი არაფერი მოაქვს.

უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე მთლიანი წველადობა შემცირდა 17 რაიონისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებში. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩნენ ქ. შიათურის ზონაში, მახარაძის, ასპინძის, თიანეთის, მარნეულის რაიონებში. ძირითადი მიზეზია მტკიცე საკვები ბაზის უქონლობა, დისციპლინის დაბალი დონე, წარმოების ტექნოლოგიის დარღვევები, საკვების ხარჯვაში, პროდუქციის წარმოებასა და აღრიცხვაში კონტროლის ხელმოშვება. ჯერ კიდევ გრძელდება პრაქტიკა, როდესაც ჩამორჩენილ მეურნეობათაგან გეგმებს გადააკისრებენ ხოლმე იმათ, ვინც კარგად მუშაობს. მაგრამ ეს უვარგისი პრაქტიკაა, იგი დაგმო პარტიამ, და ამას სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ რაიონების ხელმძღვანელები, აგრეთვე რესპუბლიკის აგრომრეწვი.

საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე ზუსტად და მკაფიოდ ითქვა, რომ სურსათის დახვევების უმოკლესი და ყველაზე საიმედო გზა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმების, მეტადრე საარენდო იჯარის ფართო, საყოველთაო დანერგვა.

უკანასკნელ ხანს ჩვენს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გაცილებით უფრო ფართოდ ინერგება შრომის ორგანიზაციის საიჯარო ფორმები. მარტო გასულ წელს საიჯარო კოლექტივების რიცხვი ორი ათასით გაიზარდა. ახლა ისინი ჩვენში დაახლოებით 12 ათასს შეადგენენ. მემცენარეობაში ამ ფორმით არის მოცული კოლექტივების 82 პროცენტი, მეცხოველეობაში — 86 პროცენტი. მაგრამ არ უნდა დავსჯერდეთ მიღწეულს, გადავიდეთ იქ, სადაც ეს უფრო ხელსაყრელია, იჯარიდან არენდაზე.

საარენდო იჯარაზე გადასვლა— ეს არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის რეალური დემოკრატიზაციის დიდმნიშვნელოვანი პირობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი გადიდების ყველაზე მოკლე გზა. ამიტომ საჭიროა ყოველნაირად გავააქტიუროთ საარენდო იჯარის ყველა ფორმის დანერგვა, რათა წლის დამლევისათვის ეს სამუშაო ძირითადად დასრულებული გვქონდეს.

არადა, დიდი და რთული სამუშაოა შესასრულებელი. ჯერჯერობით შრომის ორგანიზაციის საარენდო ფორმების დანერგვის შედეგები უაღრესად არადამაკმაყოფილებელია. პირველი ივნისისათვის საარენდო იჯარაზე გადასული იყო რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მხოლოდ 26,5 პროცენტი. საარენდოდ გადაცემულია სულ 4,7 პროცენტი სახნავი, 9,8 პროცენტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და 4,4 პროცენტი ღორი.

განსაკუთრებით შეუწყნარებელია, რომ ამ პროცესშიც, ასევე შეიმჩნევა ფორმალიზმის ელემენტები. არადა, ეს კატეგორიულად დაუშვებელია. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი მუშაკი მტკიცედ იყოს დარწმუნებული: სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა საგრძნობ სარგებლობას მოუტანს მასაც და საზოგადოებასაც.

აქ უნდა ვიმოქმედოთ ფრთხილად და ამასთანავე გაბედულად. საჭიროა კარგად გაანალიზებული დიფერენცირებული მიდგომა თითოეული რაიონის, ყოველი მეურნეობის, პერსონალურად თითოეული მშრომელისადმი. დრო გადის, სახაგრომრეწვმა კი ვერა და ვერ წარმოადგინა ამის თაობაზე მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები. ჩვენ ამთავითვე ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა მეურნეობები და რა ვადებში გადავლენ საარენდო იჯარის შეფასების ფორმაზე, რა ნაწილი შეიძლება გადაეცეთ რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებს. სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს. პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა გადავჭრათ.

ამ ცოტა ხნის წინათ „პრავდაში" დაბეჭდილმა სტატიამ სასურსათო საკითხზე, რომელიც სოციალური სამართლიანობის პრიზმით არის განხილული კვლავ დაადასტურა, რომ სახელმწიფო სასურსათო რესურსების განაწილების ამჟამად მოქმედი მექანიზმი სულაც ვერ უწყობს ხელს იმას, რომ ადგილებზე ყველგან მაქსიმალურად იყენებდნენ არსებულ რეზერვებს თვითუზრუნველყოფისათვის, რომ სხვათა მოიმედეობა — ეს არის უდიდესი ბოროტება, პროდუქტების უსამართლო განაწილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და გამოვლინება.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმას, რომ სხვათა მოიმედეობა რყვნის ადამიანებს, ხელს უშლის მათ იმუშაონ მიწაზე და მიწასთან. სხვათა მოიმედეებს, ჩვენში თუ სხვაგან, მტკიცედ უნდა ახსოვდეთ, რომ მათ ვიღაც სხვა არჩენს; ხომ არ დადგა დრო, ისინიც გაისარჯონ საკუთარი თავის სარჩენად? ახლა ამოცანა ის არის, რომ თვითონ ვარჩინოთ ჩვენი კოლექტივი, ჩვენი რაიონი, ჩვენი ქალაქი, ჩვენი ოლქი და, ბოლოს, ჩვენი რესპუბლიკა.

სხვათა მოიმედეობის გზას ადგება ზოგიერთი კოოპერატორიც, რომლებიც, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი წარმოება მოაგვარონ, პროდუქტებს სახელმწიფო ფასად ყიდულობენ მაღაზიებში, მერე კი თვითონ ჰყიდიან ნებისმიერი ფასებით. მაგრამ კოოპერატივებზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ.

რატომ გვიხდება დღეს ამდენი ლაპარაკი იჯარის, არენდის, კოოპერაციის შესახებ? თითქოს არ უნდა იყოს საჭირო საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის ამ ფორმების უპირატესობათა დამტკიცება. მაგრამ აი, საზოგადოებრივი აზრის ამასწინანდელმა გამოკითხვამ, რომელიც წითელწყაროს რაიონში მოეწყო, გამოავლინა, რომ ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და რიგითი მშრომელთა გვარიანი ნაწილი ჯერ კიდევ მთლად ვერ გარკვეულა შრომის ორგანიზაციის საარენდო ფორმის ეფექტიანობაში. სამწუხაროდ, ეს შეიმჩნევა სხვა რაიონებშიც.

საიდუმლო როდია: ზოგ-ზოგებს სულაც არ ეპიტნავებათ, რომ მშრომელები, მთელი კოლექტივები მიწის ნამდვილი ბატონ-პატრონნი გახდნენ. ბევრი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმი

(დასასრული)

ამასობაში კი ჩვენი სამუშაოს გამცდენნი აღმა-დაღმა დადიან მოსკოვში. ამ ცოტა ხნის წინათ, დედაქალაქის ცენტრში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის დააკავეს რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩასულ ადამიანთა დიდი ჯგუფი. პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასამართლო ორგანოების ხელმძღვანელებს მეტი ოპერატიულობა მართებთ, უფრო მარჯვედ უნდა იმოქმედონ და მტკიცედ მოჰკიდონ ხელი ამ საქმეების გადაწყვეტას.

განვახორციელოთ ლენინისეული გარდაქმნის სამართლებრივი უზრუნველყოფის, სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისათვის — აი ეს არის ახლა მთავარი.

ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვასთან დაკავშირებული ყველა უმთავრესი პრობლემა თითქოს თავის ფოკუსში მოაქციაო (როგორც „გარდაქმნის პროჟექტორში") ჩვენმა ამასწინანდელმა ტელეგადაცემამ „სახალხო კონტროლის ეკრანი", რომელიც ტელეჟურნალისტებისა და სახალხო კონტროლიორების ერთობლივი რეიდის მასალების საფუძველზე შეიქმნა.

ამ რეიდმა წარმოაჩინა ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარის ნაკლოვანებანი, ვიწრო ადგილები. აქ იყო სერიოზული ხარვეზები ბორჯომის რაიონის პიონერთა ბანაკების მუშაობაში, სადაც დიდებმა არ გამოიჩინეს ელემენტარული ზრუნვა ბავშვებზე, არ შეიწუხეს თავი, რომ ისინი უზრუნველეყოთ ნორმალური კვებით, შეექმნათ სათანადო სანიტარიული პირობები. აქ იყო თბილისის სავაჭრო ქსელის, კერძოდ, გლდანის მიკრორაიონის ცუდი მუშაობაც, სადაც ხალხს ვერსად უყიდია ბოსტნეული, ხილი და სხვა პროდუქტები, სადაც ირღვევა ხორცისა და კარაქის ნორმირებული ვაჭრობა, შეფერხებებია პურის გაყიდვაში. აქ იყო თბილისის ვაგზალზე სამი საათის დაგვიანებით ჩამოსული მატარებლის მგზავრთა აღშფოთებაც იმის გამო, რომ მატარებელმა დაიგვიანა, ანტისანიტარიაა ვაგონებში და გაყოლებში ჰუჰყიან თეთრეულს არიგებენ.

სამი დღის წინ საშუალება მოგვეცა კვლავ დავრწმუნებულიყავით, რა უწესრიგობა სუფევს თბილისის სავაგზლო სადგურში. 40 წუთი გავიდა მას შემდეგ, რაც განრიგის მიხედვით თბილის-ბაქოს მატარებელი უნდა გასულიყო, მაგრამ კაციშვილმა არ იცოდა, რომელ ლიანდაგზე ჩამოაყენებდნენ მატარებელს, ვინაიდან სადგურის რადიო ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს გადმოსცემდა. ვერც ცნობათა ბიურომ და ვერც ვაგზლის მორიგემ ვერ შეიტანეს სიცხადე ამ საქმეში, რადგან თვითონაც არ იცოდნენ არაფერი. როდესაც, როგორც იქნა, გამოირკვა, რომ მგზავრები კვლავ პირველ ბაქანზე უნდა გადასულიყვნენ, ამ ლიანდაგზე ჩამოაყენეს ჯერ საბარგო შემადგენლობა, მერე კაზრეთ-თბილისის ელექტრომატარებელი, და მხოლოდ ოფიციალურად გამოცხადებული დროის გასვლიდან საათზე მეტი ხნის შემდეგ ჩამოდგა ნანატრი მატარებელი.

რა არის ეს, თუ არა მგზავრებისა და თვით რკინიგზის წესების აბუჩად აგდება?! ამბობენ, ვაგზალი ქალაქის სადარბაზო ბარათიაო. ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილება დარჩათ ჩვენს ქალაქზე ფრანგ და იტალიელ ტურისტებს, და საერთოდ, ამ მატარებლის ყველა მგზავრს. ასეთი შემთხვევები კი აქ იშვიათობა როდია.

„სახალხო კონტროლის ეკრანს" ეხმიანება მეორე ჭკუისსასწავლებელი ტელეგადაცემაც, რომელიც გვიამბობს, თუ როგორ გაატარა რამდენიმე მუშის ოჯახმა კვირადღე ქალაქგარეთ. მაგრამ ბუნების წიაღში დასვენების დროს საქმიანი საუბარიც გაიბა. ძალზე ბევრი დაგროვდა მტკივნეული საკითხები, როგორც ერთმა ამხანაგმა თქვა: ჩვენ ხშირად „ლაპარაკით ვატარებთ" გარდაქმნას, ვერ გვეჯერებია გული სიტყვისა და კრიტიკის თავისუფლებით. და ამავე დროს მუშაკაცს დიდი ჯაფა ადგება, რომ ზაფხულის თვეებში სანატორიუმის საგზურები იშოვოს თავისთვის და ოჯახის წევრებისათვის. ისევე როგორც წინათ, იძულებულია სოცუზრუნველყოფის სფეროში მოკალათებულ გაბიუროკრატებულ ჩინოვნიკებს ეხვეწოს შეღავათები, რომლებსაც სახელმწიფო გამოჰყოფს მრავალშვილიანი ოჯახებისათვის და ა. შ.

— ჩვენს კოლექტივში უძრაობის დროიდან არაფერი არ შეცვლილა, — თქვა რესპუბლიკაში ცნობილმა მშრომელმა, მარნეულის საწარმოო გაერთიანების ოსტატმა ვასილ გეგეშიძემ და ამხანაგებმაც მხარი დაუჭირეს მას.

თქმა არ უნდა, საყვედური ფრიად სერიოზულია და აქედან ყველამ საჭირო დასკვნა უნდა გამოვიტანოთ.

ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ — დროა, ამ სიტყვებიდან საქმეზე გადავიდეთ.

III.

ახალი ამოცანები, ახალი მიჯნები მოითხოვენ ასევე ახლებურ მიდგომას გარდაქმნის იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში, მისი მთავარი ფაქტორის — ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას. უზრუნველვყოთ გარდაქმნა იდეოლოგიურად — ეს ნიშნავს ფრთა შევასხათ კომუნისტებს უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო, სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად, გავაძლიეროთ თითოეული პარტიელის ცხოვრებისეული პოზიციის აქტიურობა.

ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს, ვინაიდან საკმარისია სულ ცოტა ხნით ჩამოვრჩეთ დროებას, ცხოვრების მოთხოვნებს, მოვუკლოთ შემტევ სულისკვეთებას, ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობას, რომ მოვლენებისა და ამბების მაჩანჩალებად ვიქცევით და შემრიგებლურ პოზიციაზე ამოვყოფთ თავს.

დღეს განსაკუთრებით აუცილებელია მთელი ჩვენი მუშაობის იდეოლოგიზაცია, საჭიროა იდეოლოგიური საქმიანობის ახალი თვისება — აქტიური და შემტევი თვისებები. ეს კი ნიშნავს, რომ დადგა დრო, მტკიცედ შემოვბრუნდეთ მასობრივ-პოლიტიკური განმანათლებლობის, საგიტაციო-პროპაგანდისტული აქციებისაგან განახლების იდეოლოგიური, გრძელვადიანი კონცეფციის [illegible] და შეუპოვარი ფორმირებისაკენ.

ამ წინსვლა-განვითარების მომავალ მოძრაობაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ჩვენს ინტელიგენციას. ჩვენ მუდამ ვამაყობდით და დღესაც ვამაყობთ მისით, ინტელიგენციის უთვალსაჩინოესი შენაძენით მოღვაწეობის ყველა სფეროში, ინტელიგენციის წვლილით რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობაში. ჩვენ დიდად გვახარებს, რომ ლენინური პრემიის წლევანდელი ლაურეატები გახდნენ ჩვენი აკადემიკოსები თ. ვ. გამყრელიძე და ა. ნ. თავხელიძე. ნიშანდობლივია თენგიზ აბულაძის ფილმის „მონანიების" ფართო აღიარება. რესპუბლიკის ინტელიგენციას ყოველთვის ეკავა მოწინავე, ჭეშმარიტად პარტიული, იდეური პოზიციები, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პოზიციები.

მაგრამ დღეს სინანულით გვიხდება იმის თქმა, რომ ზოგიერთი პირის დემაგოგიურ, წამქეზებლურ ხრიკებს მასაზრდოებელ ნიადაგს უქმნის ჩვენი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი, რომელიც პასიურ, უპრინციპო პოზიციებზე დარჩა. იმათ შორის, ვინც დეზინფორმაციით აბნევს საზოგადოებრიობას, აღმოჩნდა სოლიდური აკადემიური დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, შემოქმედებითი ორგანიზაციების ზოგიერთი თანამშრომელი. გამოდის, რომ გვიმტყუნეს იმათ, ვისაც უნდა დავეყრდნოთ და ვისაც უნდა დავეყრდნოთ მთელ ჩვენს პოლიტიკურ, იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში. თანამოსაგრეებს, თანამოაზრეებს ეს არ ეკადრებათ!

უნდა ვიფიქროთ, რომ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დირექტორები, უმაღლესი სასწავლებლებისა და შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, ამ დაწესებულებათა პარტორგანიზაციების მდივნები სწორ, პრინციპულ პოზიციას დაადგებიან, გამოიჩენენ პოლიტიკურ მოწიფულობას და გააძლიერებენ თავიანთ კოლექტივებში სათანადო პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას.

კვერისკვრისა და გულისმოგების პოლიტიკას არავისთვის და არაფრისთვის არ დაუყრია ხეირი, რაშიც შეგვიძლია დავრწმუნდეთ იმ მაგალითით, თუ რაოდენ დაუფარავად მოქმედებს ლენინგრადში წმინდა წყლის შოვინისტური გაერთიანება, თავის თავს რუსეთის ეროვნულ-პატრიოტულ ფრონტს „პამიატს" რომ უწოდებს და იწევა ეროვნული შუღლის აღვირახსნილ პროპაგანდას, ხოლო მოსკოვში სტიქიურ თავყრილობებს აწყობს ეგრეთ წოდებული დემოკრატიული კავშირი. საჭიროა მტკიცედ ვიცავდეთ კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და მოწყობის დადგენილ წესს, განუხრელად ვასრულებდეთ მის მოთხოვნებს.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ჩვენში გააქტიურდნენ სხვადასხვა ჯურის თვითმოქმედი ფორმირებები, რომლებიც უშვებენ აშკარად პროვოკაციულ, აშკარად ანტისაბჭოთა, აშკარად ანტისოციალისტური ხასიათის „თვითგამის" ჟურნალებს, რომლებიც ამახინჯებენ ჩვენს ისტორიას და ჩვენს თანამედროვეობას, ჩირქს სცხებენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართ, ზოგიერთ ჩვენს რევოლუციურ მოღვაწეს. არიან ისეთებიც, ვისაც განსაკუთრებულ კმაყოფილებას ჰგვრის შეურაცხმყოფი, დამამცირებელი ტონით ილაპარაკონ და წერონ ჩვენს პატივცემულ, დამსახურებულ ადამიანებზე, რომლებსაც ამდენი რამ ულონიათ ჩვენი კულტურის გასავითარებლად.

ამ არაფორმალურ დაჯგუფებათა ხელმძღვანელობას მიეტმასნენ ანტისაზოგადოებრივი ელემენტები, პოლიტიკური დემაგოგები, რომლებიც ისახავენ ანგარებით, ზოგჯერ კი მტრულ მიზნებს, სახელს უტეხენ პარტიის პოლიტიკას.

მათს საპირისპიროდ მოქმედებენ სულ სხვაგვარი თვითმოქმედი გაერთიანებანი, ისინი სასარგებლო საზოგადოებრივ მუშაობას ეწევიან: გამოდიან კარგი თაოსნობებით ბუნების დასაცავად, იღვწიან ისტორიული ძეგლებისა და კულტურული ღირებულებების დაცვა-მოფრთხილებისათვის.

სოციალისტური დემოკრატია — ეს არის მოქალაქეთა უფლებების ყოველმხრივი განვითარება, მაგრამ მას საერთო არა აქვს რა მოდუნებასთან და ანარქიულ აღვირახსნილობასთან. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, დემოკრატიზმი რევოლუციურ მიზანსწრაფულობას უნდა დაექვემდებაროს.

საჯაროობისა და დემოკრატიის გაფართოების გზით გადადგმული სერიოზული ნაბიჯია სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხთა საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ ახლახან მიღებული კანონი, რომელიც ითვალისწინებს ფართო მასების საერთო, საყოველთაო მონაწილეობას რესპუბლიკის ცხოვრების ყველაზე აქტუალური პრობლემების გადაჭრაში, საზოგადოებრივი განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანების, მათ შორის, ისეთი დიდი სახალხო-სამეურნეო აქციების გადაწყვეტაში, როგორიც არის საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების 2005 წლამდე პერიოდის სქემის შემუშავება და დამტკიცება.

ეს საშუალებას გვაძლევს დავაპროგნოზოთ შესამუშავებელ გადაწყვეტილებათა ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური შედეგები. არადა, ჩვენში ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელიც კი არარად აგდებს კრიტიკულ შენიშვნებს, იჩემებს მუშაობაში მონოპოლიზმს, ჭეშმარიტების დამდგენი უკანასკნელი ინსტანციის პრეტენზიას და საკუთარი აზრის გაუზიარებლობის ყოველ გამოვლინებას ლამის თავისი ავტორიტეტის ხელყოფად აღიქვამს.

დღეს განსაკუთრებით საჭიროა საზოგადოების ჯანსაღი ძალების, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ინტელიგენციის კიდევ უფრო მეტი კონსოლიდაცია, დარაზმვა, მშობლიური ენის შემდგომი განვითარების, ბუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის ამოცანების გადასაწყვეტად. მაგრამ ნუ გავაიგივებთ ნიჰილიზმს, სკეპტიციზმს, კრიტიკანობასა და ბოღმიან პატივმოყვარეობას ნაკლოვანებათა ობიექტურ კრიტიკასთან.

რა ფასი აქვს ზოგიერთის ბრტყელ-ბრტყელ განცხადებებს ისტორიული ხსოვნისადმი სათუთი დამოკიდებულების შესახებ, როცა მათგან თითო-ოროლა კაცი თუ მონაწილეობს ხოლმე ჩვენი ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, და კიდევ უფრო ნაკლები მონაწილეობს მათ რესტავრაციასა და კეთილმოწყობაში.

თუ რაოდენ ძალუმ საზოგადოებრივ რეზონანსს იძენს ინტელიგენციის ხმა, როდესაც იგი განახლების რეალურ, და არა თითიდან გამოწოვილ პრობლემებს გამოხატავს, შეგვიძლია ვიმსჯელოთ პროფესორ ტარიელ ქავჭავაძის ამასწინანდელი სტატიით, რომელიც გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა. ამ საპრობლემო პუბლიკაციას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ვინაიდან ჩვენს ზოგიერთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას აკლია სწორედ ასეთი მწვავე, გულშემატკივრული გამოსვლები საზოგადოების საკეთილდღეოდ, ადამიანის სასიკეთო ნამუსიანი პატიოსანი შრომის დასაცავად, თავისი საქმის ჭეშმარიტი ოსტატის სახელისა და ღირსების დასაცავად. ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ქართველი ინტელიგენციის ამ მტკიცე ნაბიჯს, რომელიც მის აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას მოწმობს.

ისტორიის სიმართლე და თანამედროვეობის სიმართლე ფრთხილ, დაკვირვებულ მიდგომას მოითხოვს. ჩვენ გვაფიქრებს ცდები გაიგივონ წარსული წლების უკანონო რეპრესიები ხალხის ეროვნულ ხასიათთან. უაღრესად საჭიროა ღრმად, ალალმართლად, ობიექტურად გავიაზროთ გამოვლილი გზა, ყოველივე ის, რამაც გამოიწვია სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის დეფორმაცია, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა სტალინის პიროვნების კულტის წლებში, აპარატის დიქტატი, ხოლო შემდეგ — უძრაობის ხანგრძლივი პერიოდიც.

ჩვენი პრესის მრავალი პუბლიკაცია, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემები, რომლებიც ამ საკითხებს მიეძღვნა, რესპუბლიკაში რეპრესიების წლებში უდანაშაულოდ დაზარალებულთა ძეგლის დადგმის შესახებ გადაწყვეტილებათა ფართო მხარდაჭერა ჩვენი საზოგადოებრიობის მიერ, 30 — 40-იან წლებსა და 50-იანი წლების დამდეგს უსაფუძვლოდ რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაციისათვის მიმდინარე მუშაობა — ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი ისტორიის „თეთრი ლაქები" უნდა გადავღებოთ შავი საღებავით (როგორც ამას ზოგ-ზოგები ცდილობენ), თანაც ეს კეთდება მიკერძოებულად და არაკომპეტენტურად, ბოროტი განზრახვით.

სამწუხაროდ, ამჩატებული მიდგომა, სოციალური დემაგოგია და სიყალბე, ტენდენციურობა გამოსვლებში ჩვენი გაზეთების, ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების მთელ რიგ პუბლიკაციებში. ხშირად გაუგებარია, რით ხელმძღვანელობენ ზოგიერთი გამოცემის რედაქტორები, როდესაც ადგილს უთმობენ ავტორებს, რომელთა ნაწერები არ გამოირჩევა არც პრობლემათა ანალიზის სიღრმით, არც ელემენტარული ჟურნალისტური ეთიკით, და არც მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. მაგრამ პრესის ორგანო ხომ, როგორც ცნობილია, სულაც არ არის ყველა და ყოველგვარი აზრების საცავი, და ამიტომ არას გვარგებს სოციალისტური პლურალიზმის გადაქცევა იდეოლოგიურ ყოვლისმომნებლობად და დემაგოგიურ ოინბაზობად. რედაქტორი იმის რედაქტორია, რომ ღრმად ჩასწვდეს მოვლენათა არსს, შეეძლოს გამოიცნოს, რა არგებს გარდაქმნას და რა ავნებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ საჯაროობა და დემოკრატია არ უარყოფენ პარტიულ და საბჭოთა პრესის პარტიულობას. ბეჭდვითი სიტყვა — ეს არის საბრძოლო იარაღი, რომელიც პარტიამ მოგვანდო და მას მარჯვედ და ნამუსიანად უნდა ვხმარობდეთ! ნუ დაგვავიწყდება ნურც ის, რომ სწორედ საჯაროობის, გარდაქმნის პირობებში განუზომლად იზრდება რედაქტორთა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა იმ გამოცემების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზანშეწონილებისათვის, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ.

ჩვენი ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალების შეცდომები და ხარვეზები მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ XIX საკავშირო პარტკონფერენციისათვის მზადების პერიოდში გაზეთებმა „კომუნისტმა", „ზარია ვოსტოკამ", „სოვეტაკან ვრასტანმა", „სოვეთ გურჯისთანმა", ბეჭდვითი სიტყვის სხვა ორგანოებმა, ტელევიზიამ და რადიომ, რომლებსაც, მართალია, ნაკლოვანებებიც ჰქონდათ, გამოიჩინეს მთელი რიგი საინტერესო, სასარგებლო, საგულისხმო ინიციატივები და თაოსნობანი.

აშკარად აკლია ობიექტურობა, არგუმენტირება და სიდარბაისლე საკავშირო გამოცემების ზოგიერთ პუბლიკაციას, რომლებშიც თავს იჩენს მოვლენებისა და ფაქტების მიკერძოებული ანალიზი.

რატომ არის, რომ, ზოგ-ზოგები ცდილობენ ნაციონალიზმს მიაწერონ ვთქვათ, რესპუბლიკის საზოგადოებრიობის სავსებით ბუნებრივი შეშფოთება კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის ეკოლოგიური, კულტურული, სოციალური შედეგების გამო? ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ ეროვნული ენების, ეროვნული კულტურებისადმი ცალმხრივი, ტენდენციური დამოკიდებულებისა, როდესაც გამოცემა, რომელსაც მრავალმილიონიანი აუდიტორია ჰყავს, ვითომდა უნებლიედ, წამოისვრის ფრაზას „გულისგამაწყალებელი ქართული მრავალხმიანობის" შესახებ. ანდა უცბად ისე კადნიერდება, რომ წერს რაღაც „სპორტული ბოტანიკის" შესახებ, და სამხრეთის ფეხბურთელთა გუნდების წარმატებებს უკავშირებს ციტრუსის შემოსვლის პერიოდს. მთლად გაუგებარია ზოგიერთი გამოცემის პოზიცია, დიდის ხალისით რომ აუტაცია აშკარად პროვოკაციული ხასიათის პოლიტიკური ანეგდოტები. განა აშკარა არ არის, რომ ასეთი გამოხდომები შეურაცხმყოფელია, ლახავს ადამიანთა სახელსა და ღირსებას, ეროვნულ სიამაყეს, ქმნის არაჯანსაღ განწყობილებას და ამძაფრებს ვითარებას?

არადა, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებში განსაკუთრებული სიფაქიზე, ყურადღება და გულისხმიერება გვმართებს. ეს ერთხელ კიდევ შეგვახსენა ჩვენი სახელოვანი სწავლულების ჯგუფმა არგუმენტირებულ პასუხში გაზეთ „სოვეტსკაია კულტურასადმი", რომელშიც შეეცადნენ წარმოესახათ ქართველი ერის ფორმირების საკითხები დამახინჯებული სახით, მცდარი პოზიციებიდან.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სრულყოფის, მშრომელთა ინტერნაციონალური, პატრიოტული აღზრდის ამოცანები პარტიული და საბჭოთა ორგანოების, ყოველი ხელმძღვანელის წინაშე აყენებენ კატეგორიულ მოთხოვნას — უაღრესად ყურადღებით მოეკიდონ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლე მრავალი ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა სპეციფიკურ სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ მოთხოვნებს.

ეს კი ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, უზრუნველვყოთ მათი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების რეალიზაციის მაქსიმალურად თანაბარი შესაძლებლობანი, და ამის მეოხებით ყოველნაირად განვამტკიცოთ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სრულყოფის მატერიალური საფუძველი. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული კონტროლი უნდა დავუწესოთ იმ გადაწყვეტილებათა შესრულებას, რომლებიც მივიღეთ ჩვენი რესპუბლიკის მრავალეროვანი რეგიონების, უწინარეს ყოვლისა, ავტონომიური ფორმირებების განვითარების შესახებ.

დღეს შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ შემუშავებულ ღონისძიებათა რეალიზაციის პროცესში ბევრი რეგიონი საგრძნობლად დაახლოვდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის, ფონდშეიარაღებისა და ენერგოშეიარაღების, საქონელბრუნვისა და მომსახურების გადიდების, განსაკუთრებით სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარების მაჩვენებლების, აგრეთვე მოსახლეობის შემოსავლის ზრდის ტემპის მიხედვით. ხოლო ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით მათ 1,5 — 2-ჯერ ან უფრო მეტჯერ გადააჭარბეს საშუალო რესპუბლიკურ დონეს.

საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის დასაქმება. დაჩქარებით მიმდინარეობს ადგილობრივი კვალიფიციური კადრების ფორმირების პროცესი. სწრაფად, საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებლების გამსწრები ტემპით იზრდება ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მუშა-მოსამსახურეთა, სპეციალისტთა რიცხვი, განსაკუთრებით ინჟინერ-ტექნიკოსთა რაოდენობა.

მაგრამ არამც და არამც არ შეიძლება დავჯერდეთ მიღწეულს. მოსვენებას არ უნდა გვაძლევდეს, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და მეტის მიღწევის წადილი. საჭიროა გავაძლიეროთ კონტროლი და მომთხოვნელობა კონკრეტულ შემსრულებელთა მიმართ. უფრო ქმედითად უნდა ეკიდებოდნენ საქმეს მინისტრები, უწყებების, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების და ბევრი ადგილობრივი ორგანოს ხელმძღვანელები. მეტ დაინტერესებას მოველით რესპუბლიკის საერთო-ეკონომიკური უწყებებისაგან.

მთიანი ყარაბაღის მძიმე დღეებმა და სუმგაითში დატრიალებულმა ტრაგედიამ, ერევნის მღელვარებამ ჩვენი უდიდესი გულისტკივილი და განცდა გამოიწვია. აი რატომ იყო, რომ ჩვენში ასე ერთსულოვნად შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას, რომელიც მეზობელ მოძმე რესპუბლიკებში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით იქნა მიღებული და მიზნად ისახავს ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამიმდევრულ განხორციელებას, ამიერკავკასიის, მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას.

ახლა ყველაზე მთავარია სრულვყოთ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კულტურა, ვინაიდან, იქ, სადაც ყურადღებას არ აკლებენ ადამიანთა სულიერ და მატერიალურ მოთხოვნებს, სადაც ნიადაგ ყალიბდება სოციალური სამართლიანობა, სადაც არ ხდება სამართლებრივი ნორმებისა და კანონიერების დარღვევები, — იქ არა აქვს ადგილი, არა აქვს ნიადაგი ნაციონალისტური ამბიციების გამოვლინებებს.

მთელი ამ მუშაობის სრულყოფის მიზნით საჭიროა ახლებურად წარვმართოთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებთან არსებული საკოორდინაციო საბჭოების, სამუშაო ჯგუფების საქმიანობა ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სრულყოფის, მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის. ეს მუშაობა უნდა ავიყვანოთ სრულიად ახალ თვისებრივ დონეზე და შევაფასოთ არა განხორციელებული ღონისძიებების, ერთჯერადი კამპანიების სიმრავლით, არამედ იმით, თუ როგორ ცხოვრობენ და შრომობენ ჩვენს რესპუბლიკაში, რაოდენ მეგობრულად, ძმურად და შეხმატკბილებულად იწევიან გარდაქმნას სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, როგორ ვამართლებთ ჩვენ ვ. ი. ლენინის იმ იმედს, რომ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი შექმნის ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს.

ახლებურად უნდა წარმართოს თავისი მუშაობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმმა, დაამყაროს იგი ჭეშმარიტად მეცნიერულ საფუძველზე, გახდეს საქმით, და არა სიტყვით, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სრულყოფის, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის პრობლემათა კვლევის, მათი პროგნოზირების ცენტრი. დღესდღეობით კი ამ სახელწოდებას მუზეუმი ვერ ამართლებს.

მთელი ამ მუშაობის რეორგანიზაციას უნდა შევუდგეთ ამთავითვე, ეროვნული ურთიერთობის საკითხებზე გასამართავი სკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ, რომლისთვისაც ჩვენ ყველანი ძალზე სერიოზულად უნდა მოვემზადოთ.

ადამიანთა ახლებური საზოგადოებრივი შეგნებისა და ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაზე აქტიურ გავლენას უნდა ახდენდნენ საზოგადოებრივი მეცნიერებანი, რომელთა ახლანდელმა მდგომარეობამ, საერთოდ, შეშფოთება და დაუკმაყოფილებლობა გამოიწვია როგორც საკავშირო პარტკონფერენციაზე, ისე სკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. საამისოდ არის ყველა საფუძველი. ჩვენი საზოგადოებათმცოდნეობითი მეცნიერებაც ჩამორჩება დროის მოთხოვნებს და ჯერჯერობით თავის მუშაობას ეწევა გარდაქმნის პრინციპული მიზნების კონტექსტის ფარგლებს გარეთ. სერიოზულ გაფრთხილებად უნდა აღვიქვათ აზრი, რომელიც სკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაისმა: ჩვენს რევოლუციურ საქმეს შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს არა მარტო ეკონომიკის სფეროსა და სოციალური პოლიტიკის ჩავარდნებმა და შეცდომებმა, არამედ ჩამორჩენამაც, რომ არაფერი ვთქვათ თეორიული და იდეოლოგიური ფრონტის შეცდომებზე.

ჩვენ კვლავ მივმართავთ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, რომლებიც, დარწმუნებული ვართ, კვლავაც ასევე მტკიცედ იდგებიან მოწინავე პარტიულ პოზიციებზე, მივმართავთ მოწოდებით შექმნან ახალი მხატვრული ქმნილებები, რომლებიც ღირსეულად და ალალმართლად ასახავენ ჩვენს ისტორიულ წარსულსა და ჩვენს დღევანდელ დღეს.

დღეს მთელს ჩვენს მუშაობას ვეწევით მომავლის სასიკეთოდ, ჩვენი მომავალი კი ახალგაზრდობაა. სწორედ ახალგაზრდობამ უნდა აწარმოოს აქტიურად გარდაქმნა. იმისათვის, რომ ახალგაზრდული ენერგია და ინიციატივა გარდაქმნის კალაპოტით წარვმართოთ, საჭიროა გვქონდეს შრომითი კოლექტივის, სასწავლებლის, ოჯახის დონეზე მოზარდი თაობის განუწყვეტელი პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის გრძელვადიანი პროგრამა.

აღზარდო შემოქმედი მამულიშვილი — რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო საპატიო და კეთილშობილური საქმე. ეს მაღალი, საშვილიშვილო მისია დაეკისრათ უწინარეს ყოვლისა პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს.

აქ მინდა ხაზი გავუსვა აღმზრდელის პირადი მაგალითის ძალას. ჩვენ ძალზე გვაფიქრებს ის გარემოება, რომ ზოგიერთი ჩვენი პედაგოგი ვერ არის მოსწავლეთა იდეალი, მოქალაქეობრიობის სანიმუშო მაგალითი. გამოკითხულ მოსწავლეთა 40 პროცენტს მიაჩნია, რომ მათი მასწავლებლები არ არიან მომთხოვნნი, ხოლო 60 პროცენტის აზრით, ისინი არ არიან ობიექტურნი და სამართლიანი. აი, რა მწარე შეფასებაა!

სამართლიანობა მოითხოვს სიტყვისა და საქმის განუყრელ ერთიანობას. როდესაც ეს ერთიანობა ირღვევა, მაშინ ლაპარაკიც ზედმეტია სამართლიანობაზე, მით უმეტეს სოციალურ სამართლიანობაზე.

ჩვენ ვლაპარაკობთ სოციალურ სამართლიანობაზე და ამავე დროს ახალგაზრდობის თვალწინ მივმართავთ პროტექციონიზმსა და არაობიექტურობას უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე, რასაც მოწმობს აბიტურიენტთა დიდძალი საჩივრები, რომელთაგან ბევრი კოლექტიურია.

ჩვენ სოციალურ სამართლიანობაზე ვლაპარაკობთ, ამ დროს კი თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, გორის, ცხაკაიას, სხვა ქალაქებისა და რაიონების საშუალო სკოლების 80 მოსწავლესა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების 600 კურსდამთავრებულს დაუმსახურებლად მიეცათ მედლები და წარჩინების დიპლომები. ეს გამოვლინდა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე, სადაც მათ არადამაკმაყოფილებელი შეფასებანი მიიღეს.

რა სოციალური სამართლიანობის გამომუშავებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც თავგასული მშობლები საამებლად, ხშირად კი ანგარებითი მიზნების მისაღწევად, ზოგიერთი მწვრთნელი პირდაპირ ბავშვების თვალწინ სჩადის სიყალბეს, როგორც ეს მოხდა თბილისში ამ ცოტა ხნის წინ გამართულ მინი-კალათბურთის საკავშირო ფესტივალზე. უკვე 11-12 წლის ბავშვებს აჩვევენ სიცრუეში, ტყუილებში, კინკლაობასა და ინტრიგების დამაყაყებულ ატმოსფეროში ცხოვრებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოხდა საგანგებო შემთხვევა, ხოლო სახალხო განათლების სამინისტრომ, კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა იგი არაფრად ჩააგდეს, და არც კი ჩათვალეს საჭიროდ განეხილათ.

ამიტომ სულაც არ არის შემთხვევითი, რომ სულ რამდენიმე დღის წინათ კვლავ მოხდა ინციდენტები „ტყავის ბურთის" რესპუბლიკური ფეხბურთელთა ტურნირისა და მოცურავეთა საკავშირო ასპარეზობის დროს ქალაქ ალიტუსში, სადაც დიდებს კვლავ არ მოუთმინა გულმა და ჩაებნენ არა „საბავშვო თამაშებში" — საბუთების გაყალბება-გადაკეთებაში.

გარკვეულწილად სოციალური სამართლიანობის პრინციპის გადახვევებს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები, რომელთა შორის მრავლად არიან ყმაწვილები, განუკითხაობის, თავიანთი „განსაკუთრებულობის", ხელშეუვალობის, სოციალისტური საერთო ცხოვრების პრინციპებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულების ვითარებაში რომ იზრდებოდნენ. ჩვენს ახალგაზრდობას შორის დანის ტრიალის, ნარკომანიის, ქურდობის ყოველი ფაქტი დიდად გვტკენს გულს. მარტო მიმდინარე წელს 312 ახალგაზრდამ 236 დანაშაული ჩაიდინა. ამ მხრივ განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა გორში, ტყვარჩელში, ზუგდიდში, ზესტაფონის, მახარაძის და თიანეთის რაიონებში.

ღირსეული ცვლის მომზადება ჩვენი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სწორედ ამიტომ გადაწყდა, სკპ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი პლენუმი მიეძღვნას ახალგაზრდობის პრობლემებს, ყმაწვილი თაობის აღზრდას. ახალგაზრდობის ჭეშმარიტი ლიდერი და წინამძღოლი უნდა გახდეს რესპუბლიკის კომკავშირი, რომელიც მოზარდი თაობის ძალასა და ენერგიას მოახმარს გარდაქმნის ძირეული ამოცანების გადაწყვეტას.

კომკავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, რომელსაც ჩვენ ვეწევით ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო და ამიერკავკასიის წითელდროშოვან სასაზღვრო ოლქებთან მჭიდრო კონტაქტით და თანამოქმედებით. ჩვენ ერთად ვწყვეტთ წვევამდელი სამხედრო სამსახურისათვის ჭაბუკთა მომზადების საკითხებს, აქტიურად ვაბამთ ამ მუშაობაში მეომარ-ინტერნაციონალისტებს, რომლებიც ახალ თაობას გადასცემენ ავღანეთში შეძენილ იდეურ-ზნეობრივ მუხტს, ატარებენ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს მოსახლეობის პოლიტიკური სიფხიზლის ასამაღლებლად სახელმწიფო საზღვრის დაცვის გაძლიერების ინტერესებისათვის და სხვ.

ახალგაზრდობის უპირველესი და ყველაზე ავტორიტეტიანი აღმზრდელია კომუნისტი და რესპუბლიკის კომუნისტები პირნათლად ამართლებენ ამ საპატიო წოდებას, ამ საპატიო ნდობას.

მაგრამ აქვე მინდა დავაყენო მეორე საკითხიც — აღმზრდელთა აღზრდის, კომუნისტის ქცევის მორალური კრიტერიუმების, პარტიულ ცხოვრებაში ზნეობის ზოგადი ნორმების, პარტიელის ეთიკის საკითხი, — საკითხი, რომელიც ახლა პარტიამ წინა პლანზე წამოსწია.

„გარდაქმნის" ცნებასთან ერთად იშვა ბრძოლაც სპეტაკი პარტიელის პატიოსანი სახელისათვის. სკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა მოგვიწოდა განუხრელად მივსდიოთ ბოლშევიზმის ლენინურ ეთიკას, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გარდაქმნის პროცესი განუყრელად უკავშირდება სოციალისტური საზოგადოების ზნეობრივი საფუძვლების, საბჭოთა ცხოვრების წესის დამკვიდრებას. პარტიის ზნეობრივი განწმენდის გზაზე დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა XIX პარტიული კონფერენცია.

ჩვენ არ მოვყვებით კომუნისტთა მაღალზნეობრივი ქცევის მაგალითების ჩამოთვლას (თუმცა ისინი მრავლად გვაქვს), რადგან ეს ნორმაა. გაცილებით უფრო მეტად გვაწუხებს ანომალიები, როდესაც კომუნისტები არღვევენ პარტიული ეთიკისა და კომუნისტური მორალის ნორმებს, როდესაც ზოგჯერ ივიწყებენ ისეთ ცნებებს, როგორიც არის პატიოსნება, წესიერება, თავმდაბლობა, იდეური სიმტკიცე, სიდარბაისლე და სისპეტაკე.

ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ჯ. გურულის რა ზნეობრივ მისწრაფებათა სიწმინდეზე შეიძლება ლაპარაკი, თუკი მისი ერთ-ერთი ვაჟი მხოლოდ ირიცხება მუშად, სინამდვილეში კი უსაქმურია, ეწევა თავაშვებულ ცხოვრებას, ხშირად იწვევს საზოგადოებრივ ადგილებში კონფლიქტურ სიტუაციებს, არცთუ იშვიათად ნასვამი დადის, დააქროლებს სხვის სახელზე გაფორმებულ საკუთარ ავტომანქანას, და, ბოლოს, იმდენი ქნა, რომ სულ ახლახან მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე გაუპატიურების მცდელობის გამო.

ყოველივე ეს შესაძლებელი აღმოჩნდა მხოლოდ და მხოლოდ მამის წაყრუების წყალობით, რომელიც თვითონაც არ გამოირჩევა დიდი თავმდაბლობით. ჯ. გურულს ერთი ბინა აქვს ჭიათურაში, ცოტა ხნის წინ იქვე დიდი თანხის ფასად შეიძინა მეორე ბინა, მესამე ბინა თბილისში იყიდა, მშობლებისაგან მემკვიდრეობით დარჩა ჩინებული სახლი სოფელ წირქვალში და, ბოლოს, ამავე სოფელში აპირებს მეხუთე სახლის აშენებას. მოდი და ელაპარაკე ასეთ კაცს პარტიელის ეთიკაზე!

როგორ გინდა პარტიის ცხოვრების ზნეობრივი გაჯანსაღება, თუკი გ. ჯაოშვილმა, რომელიც პარტიის ქ. თბილისის 26 კომისრის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე იყო, რაიკომის სხვა მუშაკებთან ერთად ორგანიზაცია გაუწია სახსრების შეგროვებას ვითომდა მეგობრობის თემატიკური საღამოს მოსაწყობად, სინამდვილეში კი ამ ფულით კოლექტიური ღრეობა მოაწყო.

პარტიიდან გარიცხულმა ჯაოშვილმა აღძრა საკითხი აღდგენით სკპ რიგებში, რაზეც, ბუნებრივია, უარი ეთქვა. ეტყობა ჯაოშვილი მიიჩნევს, რომ ყველაფერი გასდიოდა, ცხოვრებაში იოლად აღწევდა მიზანს და განათლებით ისტორიკოსმა, სულ მოკლე ვადაში გაიარა, შეიძლება ითქვას, „ელვისებური გზა" თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ოსტატის თანაშემწის ფიქციურად დაკავებული თანამდებობიდან, შემდეგ რაიკომის უფლებების მქონე, კომკავშირის კომიტეტის მდივნის, ალკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკის თანამდებობიდან და საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი კომკავშირული სკოლის მსმენელიდან პარტიის რაიკომამდე. აშკარაა, რომ ამ გზაზე ვიღაც უმაგრებდა ზურგს.

უნდა ვაღიაროთ, რომ პროტექციონიზმმა, ჩვენ მიერ მიღებულ კარგ და სწორ დადგენილებათა მიუხედავად, ღრმად გაიდგა ფესვი ჯანდაცვის, სახალხო განათლების, ვაჭრობის სფეროში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ახლა კი მტკიცედ დაიბუდა კომკავშირშიც. ეს ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ სულ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კომკავშირის კომიტეტის მდივანთა 80 პროცენტზე მეტს შეადგენდნენ ადამიანები, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ამ ორგანიზაციების მუშაობის სპეციფიკასთან? როგორ მოხდა, რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კომკავშირის კომიტეტების მდივანთა 90 პროცენტზე მეტი არჩეული აღმოჩნდა იმათი რიცხვიდან, ვისაც არაფერი ჰქონია საერთო არც პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან და არც მათ საბაზო ორგანიზაციებთან?

თუმცა, რატომ გვიკვირს, თუკი პირადი ერთგულების, ნათესაობის, თვისტომობის პრინციპებს ნერგავს საკადრო პოლიტიკაში ზოგიერთი პარტიული მუშაკიც, ისეთიც, როგორიცაა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. შ. მაღლაკელიძე. საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ ყოფნისას მან იკისრა ზრუნვა მანანა სვინტრაძის სამსახურებრივ კიბეზე აღმასვლისათვის. ასე გახდა კულინართა სასწავლებლის დირექტორის მოადგილე საქალაქო აღმასკომის პროფესიულ-ტექნიკური განათლების განყოფილების ინსპექტორი, 7 თვის შემდეგ კი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

როგორც კი მაღლაკელიძე საქალაქო კომიტეტის მდივანი გახდა (და შესაბამისად მეტი შესაძლებლობაც მიეცა), საფეხურებმა კიდევ უფრო მაღლა აიყვანეს სვინტრაძე. კვლავ ზუსტად 7 თვის შემდეგ, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი ხდება პარტიის საქალაქო კომიტეტის ლექტორი, გადის კიდევ თვენახევარი, და იგი იკავებს თვით მაღლაკელიძის ძველ თანამდებობას — უძღვება საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას.

ქალაქის კომუნისტები გაოცებული არიან: რატომ არის, რომ კვების მრეწველობის ინჟინერ-ტექნოლოგი, რომელსაც პარტიული მუშაობის არავითარი გამოცდილება არ გააჩნია, ასე სწრაფად მიიწევს წინ პარტიულ აპარატში? თურმე, ნუ იტყვით: მანანა სვინტრაძე მაღლაკელიძის ახლო მეგობარია, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგის მ. გურგენიძის ცოლი ყოფილა. თბილისიდან ქუთაისამდე არც ისე შორი მანძილია, მაგრამ, ალბათ, მეუღლეებს მაინც ერთ ქალაქში უნდა ეცხოვრათ და ემუშავათ.

როდესაც კაცს ერთი უსაქციელობა შერჩება, რატომ არ ჩაიდენს მეორეს? თუ მეგობრის ცოლი მოაწყო, ნათესავმა კაცმა რა დააშავა, რატომ იმასაც არ წაუკრას ხელი? და მაღლაკელიძეც საქალაქო აღმასკომის პროფესიულ-ტექნიკური განათლების განყოფილების იგივე ინსპექტორის ადგილზე ნიშნავს თავის ბიძაშვილს მ. მაღლაკელიძეს, რომელიც ტრიკოტაჟის ფაბრიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსად მუშაობდა, ხოლო შემდეგ გადაჰყავს დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში — კვლავ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში.

პროტექციონიზმის ფაქტებმა ქუთაისში საკმაოდ ღრმად გაიდგა ფესვი, და ეს ქალაქის კომუნისტების, მთელი საზოგადოებრიობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. ეტყობა, დადგა დრო, წესრიგისაკენ მოვუხმოთ წრეგადასულ ხელმძღვანელსაც და იმათაც, ვინც მას მფარველობს.

განა საჭირო უნდა იყოს იმის თქმა, რომ პროტექციონიზმი ვერანაირად ვერ თავსდება პარტიული ეთიკის ფარგლებში? ნაცნობობით, თვისტომობის, ნათესაური, ოჯახური, მეგობრული ურთიერთობის, ის კი არა, საკურორტო ნაცნობობის პრინციპით სამუშაოზე ადამიანთა შერჩევის, მათი საქმეების, მათი კარიერის მოწყობის სისტემა არც ისეთი უწყინარია, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. მას აქვს, ასე ვთქვათ, მტკიცე „მატერიალური ბაზა", მიზნად ისახავს ანგარებითი, საქმოსნური ინტერესების მიღწევას, რომელთა გულისთვისაც მყარდება წინასწარ დაგეგმილი კონტაქტები, გამოიყენება შემთხვევითი ნაცნობობა როგორც რესპუბლიკურ დონეზე, ისე საკავშირო ინსტანციებში.

ამიტომ საჭიროა დაუნდობელი, გადამწყვეტი ბრძოლა გამოვუცხადოთ პროტექციონიზმს. სხვათა შორის, პროტექციონიზმის ცნება მარტოოდენ მფარველობას, გავლენიან მხარდაჭერას, ვისიმე საქმეების მოწყობაში დახმარებას როდი ნიშნავს. თურმე ნუ იტყვით, ამ ცნებას ჰქონია მეორე მნიშვნელობაც — ნახვრეტი, ხვრელი, საიდანაც წყალი ჟონავს. წინათ ხალხში ამბობდნენ: პროტექციიანი სახურავიაო. მაშ მოდით, ყრუდ ამოვქმნათ ეს ხვრელი, რომ მასში ჩვენმა ზნეობრივმა ღირებულებებმა არ გაჟონოს!

ხელმძღვანელის ავტორიტეტი ძნელი მოსახვეჭია, მაგრამ იოლი დასაკარგია. საკმარისია უმცირესი წინდაუხედაობა, უმცირესი შეცდომა, პარტიული ეთიკის ნორმებიდან უმცირესი გადახვევა, — და ავტორიტეტს წყალი აქვს შემდგარი! აკი ეთქმით, სახელის გატეხასა... პარტიულ ხელმძღვანელს, [illegible] ნებისმიერი რანგის მუშაკს მართებს განსაკუთრებული წინდახედულება, ხაზს ვუსვამ — წინდახედულება, განსაკუთრებული სიფრთხილე სიტყვასა და საქციელში, განსაკუთრებული პრინციპულობა ნაცნობ-მეგობართა შერჩევაში. ტყუილად როდი ამბობენ: მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარო.

პარტიულ მუშაკს, ხელმძღვანელს ყველა ხედავს, მისი არც ერთი ნაბიჯი არ რჩება შეუმჩნეველი, არ რჩება უყურადღებოდ: ყველა ხედავს, როგორ იქცევა სამუშაოზე, საზოგადოებაში, მეგობრებს შორის, ოჯახურ წრეში, და უმცირეს გადაცდომასაც კი არავინ გაპატიებს: არ გაპატიებენ გაყოყოჩებასა და ქედმაღლობას, უხეშობას და ამპარტავნობას, ადამიანთა მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულებას, თავის მოჩვენებას თუ თავმოწონებას გრანდიოზული ქორწილით თუ ხალხმრავალი ნადიმით. განსაკუთრებით მიუტევებელია, როდესაც ასე კადნიერდება მინისტრი, მაღალი რანგის პარტიული მუშაკი და თუნდაც რიგითი კომუნისტი.

ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ იქცევიან ჩვენი მეგობრები, ჩვენი ნათესავები, ყველა ახლობელი ადამიანები. მეგობრობა, ნათესაობა, ახლობლობა, ერთი მხრივ გავალებს დაიცვა ხელმძღვანელის, თანამდებობის პირის ღირსება, პატიოსნება, კარგი სახელი, ავტორიტეტი და, თუკი იგი შენთვის ძვირფასია, მეორე მხრივ, იყო უფრო მომთხოვნი, უფრო პრინციპული შენი ნათესავების მიმართ, არ აპატიო მათ არავითარი, თუნდაც უმცირესი უკადრისი საქციელი.

დაე, ყველამ ყურადღებით წაიკითხოს ფელეტონი „ორპირა იანუსები", რომელიც გასულ თვეში გამოაქვეყნა გაზეთმა „კომუნისტმა", ყურადღებით დააკვირდეს ამ ფელეტონის გმირთა სახეს: იქნებ იპოვოს საკუთარ თავში მათი დამახასიათებელი არასახარბიელო ნიშნები, ქცევის მანერა, უკადრისი ცხოვრების წესის დეტალები, და თუკი მსგავსებას აღმოაჩენს, შეეცადოს თავიდან მოიშოროს იგი.

დღეს კვლავ გვინდა გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომ არც ერთი ღრმა და მძლავრი სახალხო მოძრაობა ისტორიაში არ მომხდარა ისე, რომ მას თან არ ხლებოდა ბინძური ქაფი —... მიტმასნილი ავანტიურისტები და გაიძვერები, მკვეხარები და მოლაყბეები, რომ კარიერისტები და გაიძვერები ყოველთვის ცდილობენ მოიკალათონ მთავრობის პარტიაში, რომ კომუნისტები პარტიაში ახალ წევრებს იმისათვის კი არ იღებენ, რომ მათ მმართველი პარტიის მდგომარეობასთან დაკავშირებული სიკეთეებით ისარგებლონ, არამედ იმისათვის, რომ ისინი გვიჩვენებდნენ ნამდვილი კომუნისტური შრომის მაგალითს..

დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ ამის შესახებ, ვინაიდან მიმდინარე ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის პროცესში პარტიულ ორგანიზაციებს სათავეში უნდა ჩაუდგნენ ყველაზე ღირსეული, საუკეთესო, პოლიტიკურად მოწიფული, იდეურად გამოწრთობილი კომუნისტები. მათ უნდა ახასიათებდეთ მაღალი პოლიტიკური, საქმიანი, ზნეობრივი თვისებები, პრინციპულობა, ნაკლოვანებების, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების, ფუქსიტყვაობისა და თავის მოჩვენების შეუწყნარებლობა, მჭიდრო კავშირი მასებთან, გულღიაობა, მისაწვდომობა, გულისხმიერება, ყურადღებიანი დამოკიდებულება ხალხისადმი, ადამიანის, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა.

• • •

ამხანაგებო!

ჩვენი ხანა ცვალებადი, ბობოქარი ხანაა. ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას მეორე ცვლის, პარტიის, ქვეყნის, მთელი ხალხის ცხოვრებაში მკვეთრი ცვლილებები ხდება. დიდი, დაძაბული მუშაობა მოგვიწევს. წინ გვიძევს უამრავი გადაუდებელი საქმე, უდიდესი მოცულობის უპირველესი ამოცანები, რომლებიც რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა გადავწყვიტოთ.

მთელ ამ საქმეებს მხოლოდ მაშინ გავართმევთ თავს, როდესაც თითოეული კომუნისტი, ყოველი მშრომელი განიმსჭვალება თავის კოლექტივში, თავის პარტორგანიზაციაში, თავის სამუშაო ადგილზე საქმის მდგომარეობისათვის ნამდვილი გულშემატკივრობის გრძნობით, თუკი იგი იქნება შეურიგებელი ყოველგვარი ნაკლის მიმართ, თუკი იგი გახდება აქტიური მებრძოლი დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცებისათვის.

ჩვენს წინაშე მდგომ ყველა ამოცანას წარმატებით გადავწყვეტთ, თუკი ყოველი მუშაკი გაიცნობიერებს თავის პირად პასუხისმგებლობას გარდაქმნის ბედის, რადიკალური ეკონომიკური რეფორმის პრაქტიკული რეალიზაციის, რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების, ჩვენი ცხოვრების მთელი წესის ყველაზე ფართო დემოკრატიზაციისათვის.

ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ მთელი ამ დიდი, დაძაბული სამუშაოს შესრულებას, თუ არასდროს დავჯერდებით მიღწეულს, გაკეთებულს, თუ ვიქნებით უფრო თვითკრიტიკულნი, უფრო მომთხოვნნი და უფრო პრინციპულნი საკუთარი თავისა და სხვების მიმართ.

—დღეს მოქმედების დროა, — თქვა მ. ს. გორბაჩოვმა.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, აღვუთქვა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია მზად არის იმოქმედოს უაღრესად აქტიურად, უაღრესად ენერგიულად.

ჩვენ უკვე შევუდექით მოქმედებას, და, როგორც პარტია მოითხოვს, გარდაქმნაში ყოველი კომუნისტის, თითოეული მშრომელის წვლილი კონკრეტული მუშაობითა და კონკრეტული ნაყოფით შეფასდება.

უცხოეთში

საქდესის იუწყება
6 სექტემბერი

● აშშ

კონგრესი მუშაობას იწყებს

ვაშინგტონი. დღეს, მორიგი არდადეგების შემდეგ, მუშაობას განაახლებს ამერიკის შეერთებული შტატების მეასე მოწვევის კონგრესი. კანონმდებლები იმედოვნებენ, რომ მის ბოლო სესიას ოქტომბრის დამდეგისათვის დაამთავრებენ, რათა მათ, ვისაც ნოემბრის არჩევნებში თავისი ადგილისათვის ხელახალი ბრძოლა მოუწევს, საშუალება მიეცეთ მთელი დრო და ძალები საარჩევნო კამპანიას მოახმარონ. წლეულს კი ხელახლა უნდა აირჩიონ წარმომადგენელთა პალატის 435-ვე წევრი და 100-დან 33 სენატორი.

კონგრესის დღის წესრიგის მთავარი საკითხია ამერიკის შეერთებული შტატების 1989 საფინანსო წლის ბიუჯეტის მიღება, რომელიც I ოქტომბერს იწყება. 13 საბიუჯეტო კანონპროექტიდან მხოლოდ ორია მიღებული, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი და ძალაში შესული. დანარჩენთა შორის ყველაზე მეტ დავას იწვევს კანონპროექტი ქვეყნის სამხედრო ხარჯების თაობაზე. იგი ხანგრძლივი და ცხარე კამათის შემდეგ კონგრესმა მიიღო და პრეზიდენტს ხელმოსაწერად გაეგზავნა, მაგრამ რონალდ რეიგანმა 3 აგვისტოს მას ვეტო დაადო იმის გამო, რომ პრეზიდენტის მიერ „ვარსკვლავეთის ომების" (სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის) პროგრამისათვის – მოთხოვნილი ასიგნებანი კანონმდებლებმა 4,9 მილიარდიდან 4,1 მილიარდამდე შეამცირეს და მოიწონეს მთელი რიგი შესწორებანი შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში, ეს შესწორებანი, კერძოდ, კრძალავდნენ სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის ფარგლებში გამოცდების მოწყობას, რომლებიც ეწინააღმდეგება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1972 წლის ხელშეკრულების ტრადიციულ განმარტებას, და ავალდებულებდნენ ადმინისტრაციას მიუახლოვდეს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების ჰერს, რომელიც მან დაარღვია.

◆ ბირმა

მხარს უჭერენ სამხედროები

რანგუნი. ოპოზიციის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის შესახებ მხარი დაუჭირა დედაქალაქის აეროპორტის ტერიტორიაზე განლაგებული ბირმის სამხედრო-საჰაერო ბაზის ოფიცერთა შემადგენლობამ.

ჩვენ ხალხის ნება უნდა აღვასრულოთ და არ ვესროლოთ მათ. მოსახლეობის სწრაფვა მშვიდობიანად იბრძოლოს ბირმაში საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისათვის ჩვენი მისწრაფებაც უნდა გახდეს, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ მფრინავთა განცხადებაში. დოკუმენტი შეიცავს მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ გადადგეს ბირმის სოციალისტური პროგრამის პარტიის ახლანდელი მთავრობა, ძალაუფლება გადასცენ გარდამავალ კაბინეტს და შემოიღონ მრავალპარტიული მმართველობა.

ბირმის სამხედრო-საჰაერო ძალები პირველები გამოეხმაურნენ ყოფილი თავდაცვის მინისტრის ტინ უს მოწოდებას, რომელმაც გუშინ რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ ოპოზიციის მოთხოვნებს.

● შვეიცარია

ირან-ერაყის მოლაპარაკება

ჟენევა. ირან-ერაყის მოლაპარაკებაზე ვითარებას საქმიანი და კონსტრუქციული უწოდა იან ელიასონმა ბრიფინგზე აქ აკრედიტებული ჟურნალისტებისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ელიასონი ახორციელებს საშუამავლო მისიას ამ მოლაპარაკების დროს. მან საგანგებოდ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 598-ე რეზოლუციას, რომელიც, როგორც მან თქვა, არის „რეზოლუცია მშვიდობის დამყარების შესახებ, და არა მარტო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ". სწორედ ეს დოკუმენტი უდევს საფუძვლად აქ მიმდინარე მოლაპარაკებას.

◆ პაკისტანი

მოხსენება არ გამოქვეყნდება

დელი. მოხსენება პაკისტანის ყოფილი პრეზიდენტის, გენერალ მოჰამად ზია ულ-ჰაკის ავიაკატასტროფის შედეგად დაღუპვის გარემოებათა შესახებ შესაძლოა საერთოდ არ გამოქვეყნდეს, ვინაიდან იგი შეიძლება შეიცავდეს მონაცემებს, რომლებიც „ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებს". ეს განაცხადა სენატში (პარლამენტის ზედა პალატაში) გამოსვლისას პაკისტანის თავდაცვის, სახელმწიფო და სასაზღვრო რაიონების საქმეთა მინისტრმა მაჰმუდ ხარუნმა.

ადგილობრივმა მეთვალყურეებმა მინისტრის ეს განცხადება მიიჩნიეს იმის არაპირდაპირ აღიარებად, რომ ზია ულ-ჰაკი შეიძლებოდა შინაური შეთქმულების შედეგად დაღუპულიყო. ამას მიგვანიშნებს რავალპინდის მახლობლად ჩაკლალის სამხედრო-საჰაერო ბაზის ცხრა სამხედრო მოსამსახურის ამასწინანდელი დაპატიმრებაც, რომელიც, როგორც გაზეთი „ჯანგი" იუწყება, მოხდა მას შემდეგ, რაც „გულდასმით გამოიძიეს ავარიაში მოყოლილი პრეზიდენტის თვითმფრინავის ფრენის გარემოებანი". მაგრამ პაკისტანის თავდაცვის მინისტრმა უარყო გაზეთის ეს ცნობა და თქვა, რომ სამხედრო მოსამსახურენი გამომძიებელ კომისიაში გამოიწვიეს ჩვენების ჩამოსართმევად, მაგრამ არ დაუპატიმრებიათ.

ფოტოინფორმაცია

● ინდოეთი

„ჰიროსიმა არ უნდა გამეორდეს", „ბჰოპალი არ უნდა გამეორდეს", „ჩვენ სიცოცხლე გვწყურია", — ასეთი სიტყვებია ამოტვიფრული ამ ძეგლის (სურათზე) შავი გრანიტის ფილაზე. მონუმენტი, რომელიც გამოხატავს უღრმესი მწუხარებით გარინდულ ქალს, ხელზე მკვდარი შვილი რომ უხვევია, დადგმულია ინდოეთის ქალაქ ბჰოპალში ამერიკის ტრანსნაციონალური კორპორაციის საწარმოს „იუნიონ კარბაიდის" შესასვლელის წინ, რომლის პატრონთა დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგად საშინელი ტრაგედია მოხდა.

საქდესის ფოტო.

ტელეტაიპის ლენტიდან

● ათენი. აქ საერთაშორისო სიმპოზიუმი „კულტურა აპარტეიდის წინააღმდეგ" დამთავრდა მოწოდებით — გააქტიურონ ბრძოლა სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ. იგი მოეწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური კომიტეტისა და საბერძნეთის კულტურის სამინისტროს ინიციატივით.

● დელი. რიხტერის სკალით 4,5 ბალამდე ძალის მიწისძვრა მოხდა ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით. როგორც იუნის სააგენტო იუწყება, მისი ეპიცენტრი მდებარეობდა მეგჰალაიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრის — ქალაქ შილონგის 80 კილომეტრზე.

● მეხიკო. ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის მოსახლეობის თითქმის სამ მესამედს — დაახლოებით 140 მილიონ კაცს არა აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მომსახურებით, ეს ნათქვამია მექსიკის დედაქალაქში გამოქვეყნებულ ჯანმრთელობის დაცვის პანამერიკული ორგანიზაციის მოხსენებაში.

სპორტის ამბები

ჭადრაკი

ვიქტორ გოგლიძის მემორიალი

დღეს თბილისის ჭადრაკის სასახლეში იხსნება ცნობილი ქართველი ოსტატის ვიქტორ გოგლიძის VIII ტრადიციული მემორიალი.

ამ საერთაშორისო ტურნირში 12 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის არის მსოფლიოს ექსჩემპიონი მიხეილ ტალი (რიგა), დიდად პოპულარული პიროვნება ჩვენს გულშემატკივართა შორის. იგი, რა თქმა უნდა, პირველი ადგილის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად ითვლება.

თბილისელთაგან ბრძოლაში ჩაებმებიან დიდოსტატები ედუარდ გუფელდი, გენადი ზაიჩიკი და საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავა. ტურნირს ყველაზე დიდი მნიშვნელობა უბილავასთვის ექნება, რომელსაც საერთაშორისო დიდოსტატის ერთი ბალი აქვს, მეორის შესრულების შესაძლებლობა კი ამჯერად მიეცემა.

თბილისის საერთაშორისო ტურნირი 22 სექტემბრამდე გასტანს.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. ლანჩხუთში გაიმართა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების საპასუხო მერვედფინალური მატჩი: „გურია"-კიევის „დინამო". ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა, მაგრამ თასისათვის ბრძოლას კიეველები გააგრძელებენ. მათ პირველი მატჩი მოიგეს ანგარიშით 2:0.

გუშინწინ შედგა პირველი ლიგის გუნდების ორი შეხვედრა: ნიკოპოლის „კოლოსმა" დაამარცხა ბათუმის „დინამო" — 2:1, ლვოვის ასკ „კარპატმა" — სტავროპოლის „დინამო" — 2:0.

ჩოგბურთი. ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატის ფინალში გავიდა ლვოველი ლარისა სავჩენკო. მან ბოლო შეხვედრაში იოლად დაამარცხა მასპინძელთა წარმომადგენელი ტერი ფელპსი — 6:3, 6:1. ნახევარფინალში სავჩენკო მსოფლიოს №5 ჩოგბურთელს, არგენტინელ გაბრიელა საბატინის ეთამაშება.

მძლეოსნობა. ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო ტურნირში სიმაღლეზე მხტომელ ვაჟთა შორის დიდოსტატური შედეგით გაიმარჯვა 24 წლის მოსკოველმა სერგეი მალჩენკომ — 238 სმ. მან გაიმეორა წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგი.

ოლიმპიური კურიერი

◆ სეულში ჩავიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, რომელმაც გამოთქვა იმედი, რომ ოლიმპიადა წარმატებით მოეწყობა. იგი 11-12 სექტემბერს უთავმჯდომარევებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომას, აგრეთვე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიას, რომელმაც უნდა აირჩიოს 1994 წლის ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის ადგილსამყოფელი.

◆ ოლიმპიადაზე პირველად იქნება ორი თანაბარი მნიშვნელობის საკრივო რინგი, რომლებზეც 400-ზე მეტი ბრძოლა გაიმართება. მეორე რინგი იმიტომ გახდა საჭირო, რომ გათვალისწინებული 359 მოკრივის ნაცვლად 600-ზე მეტი ჩამოვა.

◆ გუშინ სამხრეთ კორეის ინჩხონის ნავსადგურში თბომავალ „მიხეილ შოლოხოვით" ოლიმპიურ ასპარეზობაზე ჩავიდნენ პირველი საბჭოთა ტურისტები.

„თეთრი ბაირაღები" – თურქულად

● ჩოხატაური. სოფელ ხიდისთავში დიდი მზადებაა მისი სამაყო შვილის ნოდარ დუმბაძის დაბადების 60 წლისთავის საიუბილეოდ, რომელიც მიმდინარე წლის შუა ოქტომბერში გაიმართება. გათვალისწინებულია, რომ საიუბილეო დღეს მდინარე გუბაზეულის ნაპირზე, ასწლოვანი ჭადრების ხეივანში საფუძველი ჩაეყრება მწერლის სახლ-მუზეუმს.

ხიდისთავს ეწვია თურქი მწერალი და ენათმეცნიერი ალი ალუთნი, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და კარგად იცის ქართული. მან თვეზე მეტი დაჰყო ხიდისთაველებთან და იქვე თურქულ ენაზე თარგმნა ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები".

გაეცანით საგნობრივ ხელოვნებას

● საქართველოს დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მოვლენად იქცა საგნობრივი ხელოვნების გამოფენა, რომელიც მხატვრის სახლში გაიხსნა. გამოფენაზე ნამუშევრები წარმოადგინეს მხატვრებმა ა. კაკაბაძემ, გ. მესხიშვილმა, გ. მიქელაძემ, ლ. მაღალაშვილმა, ზ. სეხნიაშვილმა, ო. ჩხარტიშვილმა, გ. ხუციშვილმა. სამ დარბაზში გაშლილი ექსპოზიცია დამთვალიერებელთა განცვიფრებას იწვევს თავისი უჩვეულობით, მდიდარი ფანტაზიით, ექსპონატების უცნაური ფორმითა და მათი მხატვრული გადაწყვეტით. სიბრტყით თუ მოცულობით გაერთიანებულ ყოველგვარ საგნებს — ლითონს, ხეს, მინას, ქსოვილებს შემოქმედებითი გარდასახვის საშუალებით ავტორები ახალ აზრს ანიჭებენ.

საგნობრივი, ან, როგორც მას კიდევ უწოდებენ, პოპულარული ხელოვნება მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული მხატვრული მოღვაწეობაა, რომელსაც დიდხანს არ ცნობდნენ ჩვენს ქვეყანაში. საქართველოში მას თავის დროზე საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა ქართველმა მხატვარმა დავით კაკაბაძემ. მაგრამ ამ ძიებას ოფიციალური სახე ვერ მიეცა, რადგან არ შეესაბამებოდა მაშინდელ დასაშვებ ნორმებს.

გამოფენილი ნამუშევრები ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან ფორმით, ფერით, კომპოზიციით, მკაფიოდ ვლინდება თითოეული ავტორის ინდივიდუალობა. მაგრამ მათ აერთიანებს ჯანსაღი ემოციურობა და ფორმალიზმის უარყოფა, სიცოცხლისა და ადამიანის სიყვარული.

„ტურისტის" ჰორიზონტები

● გაისად 60 წელი უსრულდება საკავშირო პროფსაბჭოს ჟურნალს „ტურისტს".

— პატარა ჟურნალიდან „ტურისტი" 60 წლის მანძილზე გადაიქცა სოლიდურ, მდიდრულად ილუსტრირებულ პოპულარულ გამოცემად, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ბ. მოსკვინმა. — რას დავბეჭდავთ მის ფურცლებზე 1989 წელს? ისევე როგორც უწინ, ბევრი მასალა გამოქვეყნდება მუდმივი რუბრიკებით — „ასი გზა", „ინტერვიუ ბუნებასთან", „გამოცდილთა რჩევა-დარიგებანი". მკითხველები გაეცნობიან ახალ ტურისტულ მარშრუტებს.

გამოცხადდება კონკურსები ტურისტულ თემაზე საუკეთესო ფერადი და შავ-თეთრი ფოტოსურათისათვის, ლაშქრობის ან ექსპედიციის შესახებ ნარკვევისათვის. დაგეგმილია ტურისტულ საქმეში სამეურნეო ანგარიშის დანერგვის, კოოპერატივებისა და სანარდო იჯარის შესახებ მასალების პუბლიკაცია.

ჟურნალი განაგრძობს პოპულარული საბჭოთა მწერლების ნაწარმოებების პუბლიკაციის კეთილ ტრადიციას.

1989 წელს ჟურნალში ფართოდ იქნება წარმოდგენილი საქართველო — რესპუბლიკის სილამაზემ, მადლიანმა კლიმატმა, გასაოცარმა ძველმა ძეგლებმა და, რაც მთავარია, ადამიანებმა, რომლებიც ცხოვრობენ ამ საოცარ მხარეში, სახელი გაუთქვეს საქართველოს, როგორც საბჭოთა და საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთ ცენტრს.

კურსი ეთიოპიისაკენ

● როგორც „კომუნისტის" მკითხველებმა უკვე იციან, საქართველოს საზღვაო სანაოსნო ფლოტს შეემატა 53-ე თბომავალი, ტანკერი „აკადემიკოსი უზნაძე".

ხომალდი ააგეს იუგოსლავმა გემთმშენებლებმა და მას თავის წინამორბედებთან შედარებით ბევრი უპირატესობა აქვს. 400 კილოვატი სიმძლავრის მთავარი ძრავა საშუალებას იძლევა თბომავალმა განავითაროს 14 კვანძამდე სიჩქარე, სათბობი კი ნაკლები დახარჯოს. შეთბობის სრულყოფილი სისტემა ხელს უწყობს ტვირთის ტემპერატურის საჭირო რეჟიმის დაცვას, აგრეთვე ისეთი ზებლანტი პროდუქტების უსაფრთხო გადაზიდვას, როგორიც არის პალმისა და ქოქოსის ზეთი, სტეარინი, ბადაგი, გადმოტვირთვისათვის მას ორი დამატებითი ტუმბო აქვს. მექანიზმის მართვას, დასატვირთ-გადმოსატვირთი ოპერაციის კონტროლს ხელს უწყობს ავტომატიკა და ელექტრონიკა.

ბათუმის ნავსადგურიდან „აკადემიკოსმა უზნაძემ" კურსი აიღო ეთიოპიის ნაპირებისაკენ.

გუშინ — დღეს — ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



კავკასიონის კლდეებში

● საგულდაგულოდ შეამოწმა რა როკის გვირაბის თითოეული მეტრი, სახელმწიფო მიმღებმა კომისიამ ხელი მოაწერა ტრანსკავკასიის ავტომაგისტრალზე მოძრაობის გახსნის დოკუმენტებს. თითქმის ოთხკილომეტრიანი გვირაბი გაჭრილია კავკასიონის მთავარი ქედის სიღრმეში. მან შეამსუბუქა უღელტეხილზე გადასვლა: მრავალრიცხოვან ავტომანქანებს ახლა აღარ სჭირდებათ ჯვრის უღელტეხილის ციცაბო აღმართებისა და დაღმართების დაძლევა. მაგრამ ზამთარში მოძრაობა დაიკეტება, რამდენადაც ტრანსკავკასიის ავტომაგისტრალის ამოქმედებული პირველი რიგი არ ითვალისწინებდა დამცავი ნაგებობების მშენებლობას. მეორე და მესამე რიგის მშენებლობა ორი ათასი წლისათვის დამთავრდება.

სურათზე: ტრანსკავკასიის ავტომაგისტრალი მოქმედებს!

საქინფორმის ფოტო.

რუბრიკისათვის გამოყენებულია საქდესის, საქინფორმისა და „კომუნისტის" კორესპონდენტთა მასალები.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

სათიბში.

ს. კილაძის ფოტო.

ფესტივალი

„ქება ვაზისა": მუსიკალური ხელოვნების ზეიმი

დღეიდან ქალაქი თელავი ტრადიციულ მუსიკალურ დღესასწაულს უმასპინძლებს. კამერული მუსიკის სემინარ-ფესტივალი „ქება ვაზისა", რომლის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორია ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძე და გამოჩენილი მუსიკოსის ჰენრიხ ნეიგაუზის ხსოვნას ეძღვნება, წლეულს მეოთხედ ეწყობა.

თელავის მუსიკალური საღამოები მრავალ ახალ შეხვედრასა და სიხარულს ჰპირდება მუსიკის მოყვარულთ.

ათი დღის მანძილზე მსმენელებს საშუალება ექნებათ კამერული და ვოკალური მუსიკის კონცერტებზე შეხვდნენ და მოუსმინონ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შემსრულებლებს, აღიარებულ სამხატვრო კოლექტივებს. ტრადიციულად ფესტივალის მონაწილენი თელავის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეთათვის მოაწყობენ სემინარებს, საჩვენებელ ღია გაკვეთილებს, რაც შესრულებისა და სწავლების თავისებური სკოლა იქნება.

კამერული და ვოკალური მუსიკის კონცერტებზე მსმენელები კვლავ შეხვდებიან ელისო ვირსალაძეს, მარინე იაშვილს, ციალა კვერნაძეს, უკვე ახლობლებად აღიარებენ მუსიკოსებს ოლეგ კაგანს, ნატალია გუტმანს, ცნობილ შვეიცარიელ კლარნეტისტს ედუარდ ბრუნერს და სხვებს. კონცერტებს გამართავენ საქართველოს სახელმწიფო და ბოროდინის სახელობის სიმებიანი კვარტეტები, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა კამერული ორკესტრი, ფოლკლორული ანსამბლი „მთიები", ლატვიის სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრი, დასარტყმელი ინსტრუმენტების ანსამბლი მარკ პეკარსკის ხელმძღვანელობით. გაიმართება პრემიერები. ელისო ვირსალაძისა და ბოროდინის სახელობის კვარტეტის შესრულებით აჟღერდება სსრ კავშირის სახალხო არტისტის, კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის ახალი ქმნილება „სიმებიანი კვარტეტი".

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ფესტივალის მონაწილენი, გარდა თელავისა, კონცერტებს გამართავენ იყალთოსა და წინანდალში.

მაშ ასე, მუსიკალური ხელოვნების დღესასწაული, რომლის მიზანია მსმენელები აზიაროს როგორც კლასიკურ მუსიკალურ, ისე თანამედროვე ავტორთა საუკეთესო ქმნილებებს, დღეს საღამოს საზეიმოდ გაიხსნება თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში.

ფესტივალი დასრულდება 15 სექტემბერს დიდი კონცერტით.

(„კომუნისტის" კორ.).

სასამართლო დაიწყო

ირკუტსკი, 6 სექტემბერი (საქდესის კორ). დღეს დაიწყო ოვეჩკინების ოჯახის საქმის სასამართლო გარჩევა. მათ ბრალად ედებათ იარაღით თვითმფრინავის ხელში ჩაგდება ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატაცების მიზნით, რასაც ადამიანთა მსხვერპლი და სხვა მძიმე შედეგები მოჰყვა.

სასამართლო მიჰყავს ლენინგრადის საოლქო სასამართლოს გამსვლელ სესიას. განსასჯელთა სკამზე სხედან ოლღა და იგორ ოვეჩკინები. პროცესი ღიაა.

ხელმოწერა... დაბრკოლებებით

არავინ არ ელოდა, რომ ახლანდელი ხელმოწერის კამპანია მკითხველებს სამწუხარო სიურპრიზებს გაუმზადებდა: ლამის ყველა ძირითადი პერიოდული გამოცემა ლიმიტირებულია და მათ გამოსაწერად უამრავი სიძნელის დაძლევა უხდება კაცს. „სოიუზპეჩატის" ხელისმოწერის საწარმოო უბნებთან უზარმაზარმა რიგებმა და უამრავმა „ყველაზე უტყუარმა" არაკებმა, რომლებსაც იქვე უყვებოდნენ ჭორების მოყვარულნი, ხელმოწერის გარშემო შექმნილმა ატმოსფერომ საქინფორმის კორესპონდენტს აფიქრებინა მიემართა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველოს „სოიუზპეჩატის" უფროსის გ. დ. თავამაიშვილისათვის.

— ბატონო გიორგი, მაინც რა მოხდა?

— მე მგონია, განსაკუთრებული არაფერი. ახლავე აღვნიშნავ, რომ საერთოდ რესპუბლიკაში როგორც ცენტრალურ, ისე რესპუბლიკურ გამოცემებზე ხელმოწერის დონე ისეთივეა, როგორც შარშან იყო, როცა ჩვენ, პრაქტიკულად ხელმოწერას მთელი წლის განმავლობაში ვაფორმებდით ყველა გამოცემაზე, ოთხი ლიმიტირებული გამოცემის გარდა. უფრო მეტიც, რესპუბლიკის მოსახლეობას სრულიად შეუზღუდავად, თავისუფლად შეუძლია გამოიწეროს ყველა რესპუბლიკური გამოცემა.

— და მაინც, რა ხდება, რატომ არის ასეთი რიგები, ასეთი „ბუმი" ხელმოწერის გარშემო?

—გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და განსაკუთრებით საჯაროობის პროცესში მკვეთრად გაიზარდა მკითხველის ინტერესი პერიოდული გამოცემებისადმი. ასობით საინტერესო პუბლიკაციამ, წინათ „დახურულმა" თემებმა, რომლებიც ფართოდ არის დღეს წარმოდგენილი პრესაში, კარდინალურად გაზარდა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების მკითხველთა ინტერესი. არასდროს ასეთი პოპულარული არ ყოფილა ჩვენი გამოცემები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში; ეს ეხება ჩვენი რესპუბლიკის გამოცემებსაც.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი ის გახლავთ, რომ ქაღალდი გვიჭირს. ამას შეეხო საქდესის კორესპონდენტისათვის ამას წინათ მიცემულ ინტერვიუში სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე გ. გ. კუდრიავცევი. შეგახსენებთ, რომ ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობას ძველ ნაკლოვანებებთან ერთად, როგორიც არის ცუდი პროდუქცია, ქაღალდის გამოშვების გეგმების შეუსრულებლობა, ახალი გასაჭირი დაემატა. გარდაქმნის ეპოქამ წინა პლანზე წამოსწია ეკოლოგიური საკითხები. ამის გამო თავის დროზე ეტალონების დარღვევით აშენებული მთელი რიგი ცელულოზა-ქაღალდის საწარმოები, რომლებიც აბინძურებდნენ გარემოს, დაიხურა. მათ შორის —ჩვენი ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატიც. ეს ობიექტური მიზეზები საშუალებას არ გვაძლევს გავზარდოთ ქაღალდის გამოშვება 1989 წელს და, მაშასადამე, გავზარდოთ გამოცემათა ტირაჟები.

— რა არის ახლანდელი ხელმოწერის კამპანიაში შექმნილი დაბრკოლებათა მიზეზები?

— უწინარეს ყოვლისა, როგორც უკვე მოგახსენეთ, შემოღებულია 41 გამოცემის ლიმიტები, შარშან კი ლიმიტი მხოლოდ ოთხ გამოცემაზე იყო დაწესებული. პრაქტიკულად მსურველებს შეუზღუდავად შეუძლიათ გამოიწერონ გაზეთები „პრავდა", „იზვესტია", „სოვეტსკაია როსია", მთელი რიგი პარტიული ჟურნალები.

უკვე ვთქვი, რომ რესპუბლიკის მოსახლეობას შეუზღუდავად შეუძლია გამოიწეროს ადგილობრივი გამოცემები. ჭერჭერობით არ შეგვიჯამებია შედეგები. 1989 წლისათვის ინდივიდუალური ხელმოწერა ხომ 31 ოქტომბერს დამთავრდება, მაგრამ, უკვე არსებული მონაცემებით, შესაძლოა იმ შემთხვევაში თუ გასული წლის მიღწეული დონის გადაჭარბების საშიშროება შეიქმნა, შევაჩეროთ ხელმოწერა გაზეთებზე, — „ლიტერატურული საქართველო", „ახალგაზრდა კომუნისტი" და „ლელო". ეს ღონისძიებაც ძირითადად დაკავშირებული იქნება ქაღალდის ნაკლებობასთან. უნდა ითქვას, რომ ეს არც ისეთ მტკივნეულ გავლენას მოახდენს მოსახლეობის მოთხოვნილებაზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშანდელთან შედარებით ამ გამოცემებზე ხელმოწერა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რომ რესპუბლიკაში დღეს ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე გამოდის 163 დასახელების გაზეთი და ჟურნალი და მკითხველს შეუძლია მათში მიიღოს პასუხი თანამედროვეობის უაღრესად აქტუალურ საკითხებზე. ხელმოწერის კარგი ფორმაა კოლექტიური ხელმოწერა. ჩვენს რესპუბლიკაში რატომღაც იგი პოპულარული არ არის.

— როგორი ორგანიზაციული მუშაობა განხორციელდა იმისათვის, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილებულიყო მომხმარებლის მოთხოვნები?

— უწინარეს ყოვლისა, ლიმიტირებული გამოცემები გავანაწილეთ რესპუბლიკის ოლქებზე, ქალაქებზე და რაიონებზე, შრომითს კოლექტივებზე. ამასთან მაქსიმალურად გავითვალისწინეთ მასობრივი ბიბლიოთეკების მოთხოვნები, მოსახლეობის პროფესიული ინტერესები. დეფიციტის პირობებში საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებში ამ გამოცემების განაწილება საზოგადოებრიობის მონაწილეობით ქმნის პირობებს მეტი სოციალური სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებული უპირატესობა მივანიჭეთ ომის ვეტერანებს, ინვალიდებსა და სხვა დამსახურებულ მოქალაქეებს. და მაინც, მთელი ჩვენი ძალების დარაზმვის მიუხედავად, თავიდან ვერ ავიცილეთ ცალკეული დარღვევები. კერძოდ, გამოვავლინეთ ხელმოწერებისადმი ჩვენი მუშაკების უხეში დამოკიდებულების ფაქტები, იყო გადახრები ხელმოწერების დროს.

21 აგვისტოს საქართველოს ტელევიზიის გადაცემაში „თბილისი და თბილისელები" მაყურებლმა იხილა სიუჟეტი ხელმოწერის წესებში დაშვებული დარღვევების შესახებ. ჩვენ შევქმენით სპეციალური ბრიგადა, მთავწყეთ რეიდები და განვახორციელეთ საჭირო ღონისძიებანი ასეთი შემთხვევების აღმოსაფხვრელად. „სოიუზპეჩატის" ყველა მუშაკი მკაცრად არის გაფრთხილებული, რომ კანონის დამრღვევებთან საუბარი მეტად მკაცრი გვექნება.

— თუმცა ახლანდელი ხელმოწერის კამპანია დაბრკოლებებით მიმდინარეობს ხელმომწერთა ნაწილისათვის, მაგრამ მინდა მათ ვუთხრა: გულს ნუ გაიტეხთ, ყველა გამოცემა შეიძლება შეიძინოთ „სოიუზპეჩატის" კიოსკებში. უნდა აღვნიშნო, სწორედ ამისათვის შევიტანეთ კორექტივები ხელმოწერისა და საცალო ვაჭრობის მოცულობათა თანაფარდობაში.

(საქინფორმი).

ტელევიზია — ოთხშაბათი, 7 სექტემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს". 15.50 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.00 — კინოჟურნალი „მინდა, ყველაფერი ვიცოდე". 16.10 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 16.55 — ხალხური შემოქმედება „თუკაცი გონიერია" (კონცერტი გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნოღის მომღერალთა გუნდის შესრულებით განმეორებით). 17.25 — „საქართველოს ტელეფილმების სტუდია 20 წლისაა". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლახტის გაკვეთილი". 17.55 — მოსწავლეთათვის „შეხვედრა მწერალთან" — ლადო სულაბერიძე. 18.40 — გარდაქმნის წახნაგები — „მუშის განწყობილება ქვეყნის სიმტკიცეა". 19.25 — მოამბე. 20.00 — ევროპის თასების გათამაშება ფეხბურთში: ბულგარეთის „თრაკია"—მინსკის „დინამო". რეპორტაჟი ბულგარეთიდან. დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" — სარანგეთის „ბორდო". რეპორტაჟი დნეპროპეტროვსკიდან. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — ევროპის თასების გათამაშება ფეხბურთში: მოსკოვის „სპარტაკი" — ჩრდილოეთ ირლანდიის „გლენტორანი". გადაცემა „დინამოს" ცენტრალური სტადიონიდან. ვილნიუსის „ჟალგირისი" — ავსტრიის „ავსტრია" რეპორტაჟი ვილნიუსიდან. იუგოსლავიის „ბორაცი" — ხარკოვის „მეტალისტი". რეპორტაჟი იუგოსლავიიდან.

მეორე პროგრამა. 17.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბრინჯაოს ფრინველი". I და II სერია. 19.25 — მოამბე. 20.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბრინჯაოს ფრინველი". III სერია. 21.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მულტფილმები. 10.05 — „ტყავის ბურთის" პრიზზე. 10.50 — ახალი ამბები. 11.00 — ცხოველთა სამყაროში. 17.00 — ახალი ამბები. 17.15 — „გამარჯობა, მუსიკავ!". 18.00 — ახალი ამბები. 18.05 — კინოპროგრამა. „ბრაზილიური აკვარელი". 19.05 — დღეს მსოფლიოში. 19.25 — ფეხბურთი ევროპის თასები. „თრაკია" (ბულგარეთი) — „დინამო" (მინსკი). „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ბორდო" (საფრანგეთი). 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — ფეხბურთი. ევროპის თასები. მოსკოვის „სპარტაკი" — ჩრდილოეთ ირლანდიის „გლენტორანი". 0.40 — ვილნიუსის „ჟალგირისი" — ავსტრიის „ავსტრია" 1.30 — იუგოსლავიის „ბორაცი" — ხარკოვის „მეტალისტი". შესვენებისას (0.30) — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი „მოგზაურობა მოსკოვში. კიროვის ქუჩა". 9.35 და 10.35 — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. X კლასი. 10.05 და 12.05 — გერმანული ენა. 11.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „როგორ გავმდიდრდეთ". 11.35 და 12.35 — ბიოლოგია. IX კლასი. ჩარლზ დარვინი. 13.05 — მხატვრული ტელეფილმი „სახლი ჩვენი შვილებისათვის" I და II სერია. 14.50 — ახალი ამბები. 14.55 — ტელეფილმი „ვარიანტი „ომეგა". II სერია. განმეორებით. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — თუ გსურს ჯანმრთელი იყო. 19.30 — სოფლის საათი. 20.30 — პ. ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები. ნ. დემიდენკო (ფორტეპიანო). 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — „ლეგენდა „ქართმზალაზე". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — მხატვრული ტელეფილმი „სახლი ჩვენი შვილებისათვის". I და II სერია. 0.40 — ახალი ამბები.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი

საკორესპონდენტო პუნქტები:
სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-89; [illegible] — 2-22-82; [illegible] — 5-28-36; [illegible] — 14-27-87; [illegible] — 2-33-10; [illegible] — 2-19-80; [illegible] — 2-28-40; [illegible] — 3-12-09; [illegible] — 6-34-44; [illegible] — 5-58-36; [illegible] — 3-00-77; [illegible] — 2-83-15.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, [illegible]



КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 ... სსრკ კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29